ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 11 მარტი, 2019 | №58 (8012) | ფასი: 60 თეთრი

## კახა კუკავა: „ხაზარაძე ხელისუფლებას ევაჭრება“

გვ.2



5 მარტიდან

ჟიულ ვერნი

იდუმალი კუნძული

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი





# მინისტრები ღარიბაშვილის წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობენ

„მთავრობის წევრების ნაწილმა ივანიშვილს ულტიმატუმი წაუყენა, ღარიბაშვილი თუ მოვა, ჩვენ წავალთო“








გვ.3

გიგლა ბარამიძე: „გარდაცვალებამდე ერთი თვით ადრე ბადრი პატარკაციშვილმა იმ ადამიანების სია მომწერა, რომლებმაც მას უღალატეს. ეს ხალხი ახლა „ოცნების“ ლიდერის გვერდით ტრიალებს“



## ხათუნა ლაგაზიძე: „შესაძლოა, „ოცნებამ“ ვადამდელი არჩევნები დანიშნოს“

გვ.4

„ოცნება“ ძლიერი ხელის პოლიტიკას გაატარებს... ღარიბაშვილის დაბრუნება „ოცნებიდან“ წასულებს სივრცეს ნაკლებად უტოვებს“



## მირიან მირიანაშვილი: „სააკაშვილი თავის მომხრეებს ვერ უხსნის, რატომ გაჩერდა“

გვ.5

**სამართალი**

გვ.7



### ომარ ხუხუასა და გელა ჯიქიას პატიმრობა შეეფარდათ



### ბოლნისში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკების შეძენა-შენახვისთვის 1 პირი დააკავეს



### თბილისის მერიის საწყობი გაძარცვეს

**საზოგადოება**

გვ.6

### ექიმებს, რომლებიც ერთ დაავადებაზე 17 მედიკამენტს წერენ, შეამოწმებენ



### თაკო ჩარკვიანი: „ივანიშვილმა 100 საწარმოს მაგივრად ტროლების ქარხანა გააკეთა“



### ირაკლი იაშვილი: „როცა 2004-2012 წლებში ციხის კართან ვიდექი და ჩემი კომპანიები ჯვარზე იყო გაკრული, ნუგეშის „ესემესიც“ არავის გამოუგზავნია“



ISSN 1987-9385

**2** „საუკეთესო ბიზნესი ამ ქვეყანაში არის ხელისუფლებაში ყოფნა, კარგი — ხელისუფლების მხარდაჭერა და უსაფრთხო — დუმილი“

**5** სოსო ცინცაძე: „სამთავრობო ცვლილებები გარდაუვალია“

**4** თამაზ გაიაშვილი: „თურქები გვავიწროებენ და ამაზე ხმას არავინ იღებს“

**8** შერემეტიევოში ამერიკელი დიპლომატი დააკავეს

# კახა კუკავა: „ხაზარაძე ხელისუფლებას ევაჭრება“

ნონა ცაბაძე





ატერორებენ თუ არა ბიზნესს საქართველოში, რატომ ალაპარაკდა ბიზნესმენთა ნაწილი ხელისუფლების მხრიდან ზეწოლაზე, რა ხდება თიბისი ბანკის გარშემო? — „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს კახა კუკავა პასუხობს.

*— ბატონო კახა, ბიზნესის ტერორზე თქვენ ადრეც საუბრობდით, თუმცა დღეს ამაზე თავად ბიზნესი ალაპარაკდა. რა ხდება?*

— საქმე ის არის, რომ საქართველოში ლეგალური ბიზნესი არ არსებობს, ჩვენთან ბიზნესი არის კრიმინალური და ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ ქართული მსხვილი კომპანიების 100% თუ არა, 99% არის 92-93 წლებში კუპონების პრივატიზაციის შედეგად შექმნილი ბიზნესები და შემდგომშიც უკვე შევარდნაძის, სააკაშვილისა და ივანიშვილის მმართველობის წლებში ერთ ლარად ნაყიდი სახელმწიფო ქონებისა თუ ფიქტიურად მოგებული ტენდერების ხარჯზე გამდიდრებული კომპანიები. შესაბამისად, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლება ამ ბიზნესებს აძლევდა ასეთ პრივილეგირებულ მდგომარეობას, ეს ბიზნესებიც ქრთამითა და სხვა ტიპის კორუფციული გზებით აუნაზღაურებდნენ ხელისუფლებას გაწეულ სამსახურს. ჩამოყალიბდა ეს ერთგვარი სქემა...

*— რა სქემა?*

— როდესაც ხელისუფლება და ბიზნესი აღმოჩნდნენ ერთმანეთთან კრიმინალურ თანამშრომლობაში და დღემდე ასე გრძელდება, იმიტომ ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ ნებისმიერი მსხვილი ბიზნესი საქართველოში არის კრიმინალური სქემის ნაწილი და, თუ ვინმე გაბედავს შემთხვევით, რომ კრიმინალის გარეშე გადაწყვიტოს ლეგალურად საქმიანობა, მას შეექმნება ისეთივე ტიპის პრობლემები, რაზეც სოფრომაძე ლაპარაკობდა, რომ ერთბაშად შემოვა 15 მაკონტროლებელი ორგანო, დაწერს 10-მილიონიან ჯარიმას და ბიზნესი იქნება განადგურებული.

*— სერიოზული პრობლემებია ამ კუთხით?*

— ამიტომაც ეს არის პრობლემა, რომელიც მემკვიდრეობით მივიღეთ 92 წლის მოვლენებისგან და, ჩემი აზრით, იმისათვის, რომ ქვეყანაში ჩამოყალიბდეს ჯანსაღი სახელმწიფოებრივი პოლიტიკურ-სამართლებრივი სისტემა, ძალიან მნიშვნელოვანია ამ კრიმინალური სქემის გარღვევა. ბიზნესმა მარტო მაშინ კი არ უნდა ამოიღოს ხმა, როდესაც მისი უფლებები ირღვევა, არამედ ბიზნესმა სისტემურად უნდა დაიწყოს იმაზე საუბარი, თუ კონკრეტულად რომელი თანამდებობის პირები რამდენს აწერდნენ. ჩვენ ხომ ყველამ კარგად ვიცით, რომ არჩევნების დროს ქოცებიც და ნაცებიც ბიზნესს ფულს აწერდნენ საარჩევნო კამპანიისთვის. გინახავთ ერთი ბიზნესმენი მაინც, რომელიც გამოვიდოდა და ამაზე ილაპარაკებდა?! მე არ მინახავს! თუ ბიზნესი არ მისცემს აღიარებით ჩვენებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბევრს რჩება შთაბეჭდილება, რომ ის, რასაც ხაზარაძე აკეთებს ახლა, უფრო ვაჭრობაა, ვიდრე ღირსებისა თუ უფლებების დაცვა, რომელ ტერმინებსაც ასე ხშირად იყენებს ხოლმე.

*— ანუ ხაზარაძე ვაჭრობს ხელისუფლებასთან?*

— ცდილობს, რომ ბოლომდე არ დაწვას ხიდები და შეინარჩუნოს, პრინციპში, ახალი პირობებით ის სქემა ხელისუფლებასთან ურთიერთობის, რომელიც ჩამოყალიბდა, რაც გულისხმობს იმას, რომ გარკვეულ დათმობაზე მზად არის, თიბისი ბანკის მენეჯმენტიდან გავიდა, შესაძლებელია, ანაკლიის პროექტთან დაკავშირებითაც იყოს რაღაცა კომპრომისული პირობები მისი მხრიდან.

*— რის სანაცვლოდ?*

— მთავარია, მას საქართველოში ბიზნესსაქმიანობის უფლება მისცენ. ამჟამად წამოწყებული სქემის მიხედვით, იცით, რომ ივანიშვილთან დაახლოებული ერთ-ერთი ჯგუფის მიერ ხაზარაძის წინააღმდეგ შეტანილია სარჩელი და ეს სქემა გულისხმობს ხაზარაძის სრულ განადგურებას.

*— არის ამაზე წამსვლელი ხელისუფლება?*

— ჯერჯერობით რა ინფორმაციაც ახლა მაქვს, ხელისუფლება ამაზე წამსვლელი არ არის და ხელისუფლება ჯერჯერობით ძალიან არაადეკვატურია. თუმცა მე ვფიქრობ, რომ მას, რა თქმა უნდა, მაინც მოუწევს კომპრომისზე წასვლა, იმიტომ რომ მთლიანად ქვეყანაში ვითარება იცვლება. ახლა რომ იყოს 2014-2015 წლები, შესაძლებელია, ხელისუფლება ამ დათმობებზე არ წასულიყო. მე ვფიქრობ, რომ ხელისუფლებამ ჯერ თვითონაც არ იცის, რა მძიმე ვითარებაშია. ბუნებრივია, მე ვაკვირდები იმ განცხადებებს, რომლებსაც ხელისუფლების წარმომადგენლები აკეთებენ. ზოგიერთ მათგანთან პირადი ურთიერთობაც მაქვს შემორჩენილი და...

*— და რა ხდება, რა ვითარებაა?*

— აბსოლიუტურად არაადეკვატური განწყობაა. ხელისუფლება ემზადება 2020 წელს თავისი მესამე ვადისათვის, რაც მათ მიიყვანს ტრაგიკულ შედეგებამდე. ყველა მათგანი გახდება ძებნილი ან პატიმარი.

*— არის ხელისუფლება ამაზე წამსვლელი, იძალადებენ ხელისუფლებაზე? შეეცდებიან მესამე ვადით დარჩენას?*

— მე არ ვამბობ, რომ მოვლენ, ისინი ამისთვის ემზადებიან, თორემ მე დარწმუნებული ვარ იმაშიც, რომ ძალადობის არანაირი რესურსი ამ ხელისუფლებას არა აქვს.

*— რა პროცესებიც ახლა მიმდინერეობს, გადაჯგუფება, ძველი სახეების შემობრუნება — ეს ყველაფერი 2020-ს უკავშირდება თუ ამჟამინდელ კრიზისს?*

— არა მხოლოდ 2020-ს. ეს არის ივანიშვილის მართვის მოდელი. ხშირად ვადარებთ ხოლმე შევარდნაძის მართვის მოდელს. ეს არის ფავორიტიზმი, რომელიც გულისხმობს იმას, რომ მოკლე პერიოდით ის ნიშნავს თავის ფავორიტებს და რატომ მოკლე პერიოდით? იმიტომ, რომ რომელიმე მათგანი არ გაძლიერდეს და შემდეგ უპირისპირებს მათ სხვა ფავორიტებს. აი, ეს სისტემაა და, არა მგონია, ამ სქემამ 2020-მდე გაძლოს, მით უფრო, რომ ამჟამად ძალიან სუსტი პაიკები გამოუვიდა ივანიშვილს წინ წამოწეული: ბახტაძე, კობახიძე, ღარიბაშვილი. საზოგადოებაში ეს ღიმილს იწვევს და რაიმე სერიოზულ მოლოდინებს არ აღძრავს.

*— მხოლოდ პარტიაში დატოვებს ღარიბაშვილს თუ უბოძებს რაიმე თანამდებობას?*

— შესაძლებელია, ის მთავრობაშიც შეიყვანოს მცირე დროით, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ 2020-მდე ეს სქემა ვერ იმუშავებს. უბრალოდ, ქვეყანაში არსებული კრიზისი იმდენად ღრმაა, რომ ამას ღარიბაშვილის ფიგურა არ ეყოფა, თუნდაც ამ კრიზისის დროებით გადავადებას. ღარიბაშვილის ისტორია უკვე ჩამთავრებულია, ერთი-ორი დღე იყო ხმაური და მიწყნარდა. საერთოდ, გაგრძელდება თუ არა ეს აჟიოტაჟი, ნათელი არ არის.

*— რის იმედი აქვს ივანიშვილს? ამბობენ, რომ დასავლეთი მხარს არ დაუჭერს „ოცნების“ მესამე ვადით დარჩენას. ამომრჩეველს მოისყიდიან?*

— დასავლეთი ნამდვილად არ დაუჭერს მხარს. ეს გამორიცხულია. ივანიშვილს აქვს იმის იმედი, რითიც მოიგო საპრეზიდენტო არჩევნები — ოპოზიციის დაქსაქსულობით. ერთადერთი, რაზეც დგას ივანიშვილი — ეს არის ოპოზიციის დაქსაქსულობა და ნაცმოძრაობა. როგორც კი ეს საკითხი გადაწყდება, ხელისუფლების შეცვლა არის ძალიან მარტივი ტექნიკური საკითხი, ბევრად უფრო მარტივი, ვიდრე სააკაშვილის რეჟიმის შეცვლა.

*— ითამაშებს რაიმე როლს ნაციონალების ფაქტორი?*

— რა თქმა უნდა, ითამაშებს. ძირითადი ვარიანტი არის სწორედ ნაცმოძრაობა. ივანიშვილი დღემდე სწორედ ამით ინარჩუნებს ხელისუფლებას. როგორც მეორე ტურმა აჩვენა, მოსყიდვას არა აქვს იმდენი ეფექტი, რამდენადაც ნაციონალურ მოძრაობას. არ მოსწონთ ქოცები, ყელში ამოუვიდათ მათი მმართველობა, მაგრამ ნაცების ხსენებაც არ უნდათ. ასეთი ამომრჩეველი დაახლოებით 800 ათასია და, როდესაც დგება არჩევანი, ქოცები თუ ნაცები, მხარს ისევ ქოცებს უჭერენ. სანამ არ შეიქმნება სხვა, მესამე ალტერნატივა, მანამ ეს სიტუაცია იქნება. სწორედ ამიტომ ძალიან მთავარი და მნიშვნელოვანია მესამე ცენტრის ფორმირება. ჩვენ მთლიანად ამ საკითხით ვართ დაკავებული.

# „საუკეთესო ბიზნესი ამ ქვეყანაში არის ხელისუფლებაში ყოფნა, კარგი — ხელისუფლების მხარდაჭერა და უსაფრთხო — დუმილი“



— საუკეთესო ბიზნესი ამ ქვეყანაში არის ხელისუფლებაში ყოფნა, კარგი ბიზნესი არის ხელისუფლების მხარდამჭერი განცხადებების გაკეთება და უსაფრთხო ბიზნესი არის დუმილი.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ექსპერტმა გია ხუხაშვილმა განუცხადა. როგორც ხუხაშვილი ამბობს, ბიზნესი დღეს დუმს, რაც დიდი შეცდომაა.

— იმედი მაქვს, რომ ამ პრობლემას სისტემური ხასიათი ჯერ არ მიუღია. საქმე იმაშია, რომ საქართველოში ჩამოყალიბებულია ნომენკლატურული კაპიტალიზმი, როდესაც ხელისუფლება თვლის, რომ ის არის ბიზნესის დირექტორი და ის კარნახობს თამაშის წესებს, აკონტროლებს ფინანსურ ნაკადებს და თუ ჩნდება რაიმე ტიპის პოლიტიკური ან ეკონომიკური ინტერესი, მას აქვს უფლება, რომ აკონტროლოს ბიზნესი. ეს არ არის ამ ხელისუფლების მოგონილი, ასე იყო წინა და იმის წინა ხელისუფლებების დროს. ამ ნომენკლატურული ეპოქიდან ჩვენ ვერ გამოვედით. ხელისუფლების ტენდენცია განვითარდა ფინანსური ნაკადების კონტროლის მიმართულებით, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა ბიზნესში ერევიან. ერევიან მხოლოდ იქ, სადაც ხედავენ გარკვეულ საფრთხეს, ან ჩნდება ხელისუფლებასთან დაახლოებული ჯგუფის დაინტერესება ამა თუ იმ მიმართულებით. ეს მანკიერება არის ჩვენი რეალობა, — განაცხადა ხუხაშვილმა.

რაც შეეხება ბიზნესის დამოკიდებულებას, ხუხაშვილი ამბობს, რომ ბიზნესი ამ ქვეყანაში ყოველთვის კონფორმისტი იყო.

— ითვლებოდა და დღესაც ითვლება, რომ საუკეთესო ბიზნესი ამ ქვეყანაში არის ხელისუფლებაში ყოფნა, კარგი ბიზნესი არის ხელისუფლების მხარდამჭერი განცხადებების გაკეთება და ჩვენ ეს ამ დღეებში მოვისმინეთ და უსაფრთხო ბიზნესი არის დუმილი. დუმილის უფლებას იყენებს ყველა პრაქტიკულად, რაც არის დიდი შეცდომა.

თვითონ ხელისუფლებისთვისაც კარგი იქნება, თუ ასეთ შემთხვევაში ბიზნესი კონსოლიდირებული იქნება და დააზღვევს ქართულ სახელმწიფოს ამ მანკიერებისგან, რასაც ნომენკლატურული კაპიტალიზმი ჰქვია. ასეთ დროს ქვეყანა, ეკონომიკა ვერ ვითარდება და ეს ბუმერანგივით უბრუნდება ხელისუფლებას პრობლემების სახით. სამწუხაროდ, დღევანდელი ხელისუფლება ამას ვერ ხვდება. ვფიქრობ, დადგა დრო ბიზნესმა კონსოლიდირებული მოსაზრებები გამოთქვას. დღეს ბიზნესი გათითოკაცებულია და, სანამ თვითონ არ შეექმნება პრობლემა, მინიმუმ სიჩუმეს ამჯობინებენ.

„თიბისის“ პრობლემატიკაზე როდესაც ვსაუბრობთ, სრულიად ცხადია, რომ პრობლემებს, რომელიც შეიძლება იქ იყოს, ფულის გათეთრებასთან კავშირი არ აქვს. რატომ არ ახდენს ამაზე რეაგირებას ბიზნესასოციაცია, გაუგებარია. ალბათ, მათი ეს დუმილი არის კონფორმიზმი, რადგან ბიზნესელიტა, სამწუხაროდ, ფიქრობს, რომ მათი წარმატება დამოკიდებულია ხელისუფლების კეთილგანწყობაზე და არ უნდათ ხელისუფლების გაბრაზება. ჰგონიათ, რომ ამით დაიცავენ თავს, მაგრამ ვერავინ ვერ დაიცავს თავს ამით. თუ დასჭირდებათ, ხვალ სხვასაც მიადგებიან, — განაცხადა ხუხაშვილმა.

კითხვაზე, ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ ხელისუფლებაზე განაწყენებულმა ბიზნესმა „ქართული ოცნების“ ნაცვლად სხვა პარტიები დააფინანსონ? ხუხაშვილი პასუხობს: „მე ჯერჯერობით ამას ვერ ვხედავ. ყველა ნორმალურ ქვეყანაში ბიზნესს აქვს თავისუფალი არჩევანი და ფულს დებს იმ პოლიტიკურ პარტიებში თუ ტენდენციებში, რაც მისი ინტერესებისთვის კომფორტულია“, — განაცხადა ხუხაშვილმა.

მისივე მოსაზრებით, მამუკა ხაზარაძეს ხელისუფლება პოლიტიკისკენ უბიძგებს.

— ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ხაზარაძე გადაიყვანოს პოლიტიკურ ველზე. ეს არ არის ხაზარაძის არჩევანი, ეს არის ხელისუფლების არჩევანი. ხელისუფლება ამ შემთხვევაში უგუნურად იქცევა. მას აქვს სხვადასხვა ინტერესი, რის ჩამოთვლასაც არ დავიწყებ; მათ გადაწყვიტეს ხაზარაძე დასაჯონ ან რაღაც ეკონომიკური ინტერესი აქვთ და რაღაცის დათრევა უნდათ. თუ ხაზარაძე პოლიტიკაში წავა, ეს ხელისუფლების მიზანი კი არ იქნება, არამედ მათი ქმედების თანმდევი მოვლენა. ეს რომ არ მოხდეს, ბიზნესმა ერთი მარტივი რამ უნდა გაიგოს — გამოვიდნენ კონფორმისტული ჩარჩოებიდან და ხმა ამოიღონ. ბიზნესს დუმილი ვერ გადაარჩენს, მათაც მიუკაკუნებენ. თუ დასჭირდათ, თითოთითოდ ყველას დაახრჩობენ, — განაცხადა გია ხუხაშვილმა.

იპნ

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მინისტრები ღარიბაშვილის წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობენ

## „მთავრობის წევრების ნაწილმა ივანიშვილს ულტიმატუმი წაუყენა, ღარიბაშვილი თუ მოვა, ჩვენ წავალთო“







### გიგლა ბარამიძე: „გარდაცვალებამდე ერთი თვით ადრე ბადრი პატარკაციშვილმა იმ ადამიანების სია მომწერა, რომლებმაც მას უღალატეს. ეს ხალხი ახლა „ოცნების“ ლიდერის გვერდით ტრიალებს“

შორენა მარსაგიშვილი

**რა სკანდალური ინფორმაცია მიაწოდა ბადრი პატარკაციშვილმა გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, რა საფრთხის წინაშე დგას ივანიშვილი, ვინ და რატომ გააპროტესტა „ოცნებაში“ ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნება? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ყოფილი პოლიტდევნილი გიგლა ბარამიძე ესაუბრება.**

***– მმართველი გუნდის პარტიის ლიდერები „ოცნების“ განახლებას გვიანონსებენ და ამბობენ, რომ პარტიისთვის რეიტინგულ ხალხს შეარჩევენ. თქვენი აზრით, გადაარჩენს ეს შერჩეული ხალხი „ქართულ ოცნებას“?***

– იმას, რაც ახლა ხდება მმართველ გუნდში, პარლამენტში „ოცნების“ სტრიპტიზს დავარქმევდი. სხვანაირად რომ ვთქვა, მმართველი პარტია შესულია ლპობის პროცესში.

„ქართულმა ოცნებამ“ ვერც ერთი დაპირება ვერ შეასრულა, „ქართულმა ოცნებამ“ საქმე ვერ გააკეთა, მაგრამ „ქართულმა ოცნებამ“ წარმოშვა ისეთი სამარცხვინო ტიპაჟები, რომლებსაც ჩვენ ქართული და უცხოური ლიტერატურიდან კარგად ვიცნობთ. ამით მმართველ პარტიას ნამდვილად შეუძლია, იამაყოს.

მმართველ პარტიაში ყველა უარყოფითმა პერსონაჟმა მოიყარა თავი, ბონია მეწისქვილით დაწყებული, ჰოფმანის „კატა მურის ცხოვრებისეული ფილოსოფიის“ პერსონაჟებით დამთავრებული.

სხვათა შორის, ეს კატა მური არ იყო ცუდი კატა, ერთი ცნობილი ქართველი პოლიტიკოსი ქალისგან განსხვავებით, მიღებებზე ჩექმებით არ დადის.

ფერწერას თუ გადავხედავთ, „ოცნების“ კლასიკური ტიპაჟები ჰყავს დახატული ნიდერლანდელ მხატვარ ჰიერონიმუს ბოსხს. საოცარია, სად დაინახა ბოსხმა მე-15 საუკუნეში, რომ მის მიერ დახატული ტიპაჟები 21-ე საუკუნეში საქართველოს მთავრობასა და პარლამენტში შეძვრებოდნენ და სტომაქს გაივსებდნენ.

ამ ყველაფერს კი უდიდესი ქართველი პოეტის, ვაჟა-ფშაველას სიტყვები ესადაგება – გაგვიბატონდა, ქართველნო, სირეგვნე შეუწონარი.

რასაც დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები აკეთებენ, ასეთი სირეგვნე მეორე არ მინახავს.

ამ უსაქმურების გაერთიანებას, „ქართულ ოცნებას“ რომ ვუყურებ, დიდი ბისმარკის გენიალური ფრაზა მახსენდება – არსად იმდენს არ იტყუებიან, როგორც ომის დროს, არჩევნების წინ და ნადირობის შემდეგ. ესენი ომით ვერ ომობენ, არჩევნების წინ იტყუებიან და იტყუებიან, ნადირობას რაც შეეხება, დიდი ქონება მოინადირეს.

ასევე მახსენდება პირველი რესპუბლიკის მთავრობა, 1921 წელს კუდამოძუებული რომ გარბოდა საქართველოდან. მას არიერგარდში მდგარი იუნკრები იცავდნენ.

მთავრობის წევრების სამარცხვინო გაქცევას თვალს ადევნებდნენ გენერლები კვინიკაძე და მაზნიაშვილი. მაზნიაშვილმა მათ ჰკითხა, რას აკეთებთო. იმათ უპასუხეს, შინდისი დავკარგეთო. მაზნიაშვილმა ამის საპასუხოდ გასაქცევად მომზადებულ მთავრობას შემდეგი სიტყვები მიახალა პირში: თქვენ შინდისი კი არა, სინდისი დაკარგეთო.

მაშინ ჯარი გვყავდა, მაგრამ იმ მთავრობას ომი არ სურდა. ლენინით იყო აღფრთოვანებული ნოე ჟორდანია.

***– მოდით, ისევ „ოცნების“ დღევანდელობას დავუბრუნდეთ. ამბობთ, რომ მმართველი პარტიაში ლპობის პროცესია დაწყებული. იქნებ ეს პროცესი ახალმა კადრებმა შეაჩეროს?***

– „ოცნების“ კრეტინიზმს საზღვარი აღარ აქვს – მეშვიდე წელია, ხელისუფლებაში არიან და ახლა იწყებენ კადრების მოზიდვას. კადრების მოზიდვა პარტიული ცხოვრების ყოველდღიური ნაწილია. რას ეძებენ ეს გაჭირვებულები, ვერ გეტყვით.

ბევრი დიდ იმედებს ამყარებს ირაკლი ღარიბაშვილზე. ამ ადამიანს რამდენიმე ფრაზისა და ქმედების გამო პატივს ვცემ, მაგრამ, არ მაქვს იმედი, რომ ის რამეს გამოასწორებს.

ღარიბაშვილი რომ ნახავს, რა დღეშია მმართველი პარტია ჩავარდნილი, რა ფსიქოტიპის ხალხი ჩამოყალიბდა იქ და რამდენი რამე აქვთ გაფუჭებული, შეიძლება, „ოცნების“ პირველი ოპოზიციონერი ეგ გახდეს.

აქამდე ამ გუნდში გაბატონებული იყო მონათმფლობელური, პატრონყმური ურთიერთობა. ეს ურთიერთობა ორ რამეს ეყრდნობოდა – ძალის შიშსა და სიმდიდრის მოხვეჭის სურვილს.

ბიძინა ივანიშვილს დღეს ძალა აღარ აქვს, შიშის გრძნობა მის მიმართ დაკარგული აქვთ და მეორე, ხელისუფლებაში ჩამობრანძულად მისულმა „ოცნების“ წევრებმა მიიღეს სიმდიდრე. ახლა დადგა ამ სიმდიდრის შენარჩუნების პროცესი.

ყველანაირად ცდილობენ, ეს ქონება შეინარჩუნონ, ამასთან, უნდათ, რომ ხალხში გაესვლებოდეთ და ამის გამო ზოგიერთმა მათგანმა ოპოზიციონერობაც კი დაიწყო. ადრეც გითხარით ერთ-ერთ ინტერვიუში და ახლაც გავიმეორებ – ბიძინა ივანიშვილი მეფე ლირივით მარტო დარჩება.

ამის ნიშნები უკვე სახეზეა. ის ადამიანები, ქალი თუ კაცი, ვისაც მილიარდერმა ჩააცვა, დაახურა, დაბანა, აჭამა, გვერდზე გახტნენ და ცდილობენ, ყველა ცოდვა ივანიშვილს აჰკიდონ. ასეთი რამე დაემართათ თავის დროზე შევარდნაძეს, სააკაშვილს, პატარკაციშვილს.

ბადრი პატარკაციშვილთან დაკავშირებით ერთ ექსკლუზივს გეტყვით. ამ ადამიანმა გარდაცვალებამდე ერთი თვით ადრე ესემესით მომწერა იმ ადამიანების სახელები და გვარები, რომლებმაც მას უღალატეს.

სიაში ძირითადად პოლიტიკოსები ფიგურირებენ და კიდევ საზოგადოებისთვის რამდენიმე ცნობილი სახე. სხვათა შორის, ეს ადამიანები ყველა მთავრობას მოერგნენ, ყველა პირველი პირის გვერდზე ტრიალებდნენ. ამ ადამიანებს ასეთი სტილი აქვთ, როგორც კი გაძღებიან და ნახავენ, რომ მაგათი მამა და მარჩენალი სუსტად არის, მაშინვე გარბიან სხვა პატრონის მოსაძებნად.

ბადრი პატარკაციშვილთან დიდი მეგობრობა არ მაკავშირებდა. ნაციონალების დროს მე საქართველოდან ვიყავი გაქცეული, მასაც მოუწია ქვეყნის დატოვება. ამან დაგვაახლოვა. ტელეფონითა და ერთი შუამავლის მეშვეობით ვკონტაქტობდით. როგორც უკვე გითხარით, სიკვდილამდე ერთი თვით ადრე მომწერა იმ ადამიანების სია, რომლებმაც მას უღალატეს.

***– ამ ადამიანების ვინაობას არ გაამხელთ?***

– ახლა არა. იმას გეტყვით, რომ ძალიან ცნობადები არიან, მაგრამ, ერთხელაც იქნება, მომივლის გურული სიფიცხე და ბადრისგან მოწერილ ესემესს გავასაჯაროებ. მან ამის უფლება მომცა. ეს ესემესი შენახული მაქვს. მუხანათური შენახვები ჩემი სტილი არ არის, მაგრამ ცხონებულმა მითხრა, ეს გვარები შეინახე, შეიძლება, დაგჭირდესო.

ბატონ ბიძინასაც, შეიძლება, იგივე დაემართოს, რაც პატარკაციშვილს დაემართა. იმ ესემესში იმათი გვარებიც წერია, ვინც „ოცნების“ ლიდერს ახლა გვერდით უდგას. დღეს მთელი „ოცნება“ გასაქცევად არის მზად და საჭირო მომენტს ელოდებიან.

გვერდს ვერ ავუვლი პრემიერის სამარცხვინო განცხადებას. „ფრესკოს“ მფლობელმა სკანდალური ინფორმაცია გაავრცელა, თუ როგორ ატერორებდნენ მას. ამაზე ჟურნალისტებმა მთავრობის მეთაურს ჰკითხეს, რეაგირება რატომ არ მოახდინეთო. მამუკა ბახტაძემ სამარცხვინო პასუხი გასცა, არ ვიცოდიო. იმ კაცმა თქვა, არ ვიცოდიო, რომელსაც პრესსამსახურში 100 ადამიანი მაინც ჰყავს.

ეს პრესსამსახურები საუბრის ცალკე თემაა. აქ ძირითადად ნაციონალების კადრები არიან დასაქმებული. ესენი რომ ჰყავთ დასაქმებული, მაგიტომაც არის საქმე კარგად. მაგიტომაც ელოდება მთელი საქართველო რუსთაველზე ლომების პარადის ნაცვლად ლგბტ თემის პრაიდს.

***– ლგბტ თემის პრაიდის გარდა, საზოგადოება სამთავრობო ცვლილებებსაც ელოდება. ამ ცვლილებებზე რას ფიქრობთ?***

– მთავრობა როგორც არ უნდა შეცვალონ, სიტუაციას ვერ გამოასწორებენ. მთელი უბედურება ის არის, რომ ვერ ხვდებიან, რაშია საქმე. მეშვიდე წელია, ხელისუფლებაში არიან და დღემდე ჰგონიათ, რომ მიშა სააკაშვილი ურევს სიტუაციას. იმის აღიარება არ უნდათ, რომ თავად არიან ხელიდან წასულები.

ირაკლი ღარიბაშვილს მართლა ძალიან უნდა სიტუაციის გამოსწორება, მაგრამ არ გამოუვა. მასთან დაკავშირებით ერთ ექსკლუზივსაც გეტყვით – „ქართული ოცნების“ პირველი პირების დიდ ნაწილს მისი დაბრუნება არ უნდოდა.

მეტსაც გეტყვით, ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირი, მინისტრი მივიდა ივანიშვილთან და ვილაცებისა და თავისი სახელით უთხრა, ღარიბაშვილი თუ დაბრუნდება, ჩვენ წავალთო.

ღარიბაშვილის დაბრუნების ამბავი რომ გაიგეს, „ოცნებაში“ ნახევარზე მეტმა შიშით ფერი დაკარგა – ნერვიულობენ, ცვლილებებს დაიწყებს, ჩვენს ხალხს გაყრის და თავისიანს მოიყვანსო.

პირადად მე ღარიბაშვილს ვგულშემატკივრობ, გამიხარდება, თუ რამეს გააკეთებს, მაგრამ, კიდევ ერთხელ ვამბობ, არაფერი გამოუვა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ასეთი დახვედრა მოუწყვეს და მას რამის გაკეთების საშუალებას როგორ მისცემენ. ისე ცუდად არის საქმე, რომ საქმის გაკეთება ივანიშვილსაც გაუჭირდება.

მისი ამჟამინდელი მდგომარეობა პუშკინის „ძუნწ რაინდს“ მაგონებს. ამ ადამიანს ყველა, მათ შორის საკუთარი შვილიც, განუდგება და ერთადერთი ბედნიერება აქვს დარჩენილი – ჩადის ციხე-სიმაგრის სარდაფში და ოქრო-ბრილიანტით გადაჭედილ სკივრებს ეფერება.

ძალიან არ მინდა, რომ „ოცნების“ ლიდერმა ამ რაინდის ბედი გაიზიაროს, მაგრამ იმდენი მოღალატე ჰყავს გარშემო, რომ შეიძლება, ქონებაც კი დააკარგვინონ. ალბათ თავადაც ვერ ხვდება, რა ხალხი ჰყავს შემოკრებილი. ასეთი ხალხი რომ ჰყავს, მაგიტომაც დარჩება მეფე ლირივით მარტო.

***– რამდენიმეჯერ თქვით, მეფე ლირივით მარტო დარჩებაო. აქამდე რა პროგნოზებიც გაქვთ გაკეთებული, გამართლდა და ვნახოთ, ეს პროგნოზიც თუ გამართლდება.***

– მართლა ყველა ის პროგნოზი გამართლდა, რომლებიც ჩვენმა პარტიამ ივარაუდა. ეს იმიტომ კი არ მოხდა, რომ ჩვენ წინასწარმეტყველები ვართ. ჩვენ, უბრალოდ, ანალიზს ვაკეთებთ და მერე ვლაპარაკობთ.

ივანიშვილი რეალობას მოწყვეტილია. მისი მრჩევლების განცხადებებიც ძალიან საეჭვოა.

***– რატომ არის საეჭვო?***

– აბა დავაკვირდეთ, რა განცხადებებს აკეთებს ეს ხალხი ბოლო კვირების განმავლობაში. რაღაც ყოყმანით ლაპარაკობენ და ერთ ფრაზას იმეორებენ დაზეპირებულივით – თუ ასე გაგრძელდა....

კი მაგრამ, 7 წელი კარგად რომ ძოვდით ივანიშვილთან, მაშინ რატომ არ გაგახსენდათ ეს ფრაზა? აბა „ოცნება“ და მისი ლიდერი მყარად იდგნენ ფეხზე, სულ არ გაგახსენდებოდათ ფრაზა – თუ ასე გაგრძელდა.

მე რომ ამათი ცხოვრების სტილი, ბიოგრაფია და გაზულუქებული მადის ამბავი ვიცი, იმიტომ ვამბობ, რომ „ოცნების“ ლიდერი მეფე ლირივით მარტო დარჩება. მისდა სამწუხაროდ, მას გვერდით არ ჰყავს ადამიანი, რომელიც რეალობას დაანახებს. ის მრჩევლები, რომლებიც გარს ახვევია, სიმართლეს არ ეუბნებიან და მაგიტომაც ემხობა ყველაფერი თავზე.

თქვენ შემთხვევითი გგონიათ, ბიზნესმენებმა ერთდროულად რომ დაიწყეს ბიზნესის რეკეტზე საუბარი? აქამდე ამასთან დაკავშირებით ხმას არ იღებდნენ, მაგრამ, როგორც კი შესუსტდა „ოცნება“ და მისი ლიდერი, მაშინვე დაიწყეს ყვირილი. ზვიად გამსახურდიას შემდეგ საქართველოში ბიზნესი სულ მთავრობაში იყო ჩართული და მთავრობა კიდევ – ბიზნესში.

ეს რატომ ხდება, იცით? ფილისტერულ საზოგადოებად ვიქეცით – ყველაფერს ვაფასებთ არა ისე, როგორც სინამდვილეშია, არამედ, როგორც გვაწყობს და როგორც ჩვენს ჯიბესა და მუცელს უნდა.

ხელისუფლებაში „ოცნების“ მოსვლის შემდეგ ბანკებსა და მიკროსაფინანსოებს სასათბურე პირობები შეექმნათ. ასეთ კარგ პირობებში ისინი არასდროს ყოფილან – მთელი ქვეყანა გადაჭამეს, პროცენტებით გვახრჩობენ. მთელი ქვეყანა მათ ლანძღვაში იყო, მაგრამ, როგორც კი ერთი ბანკირის მხარდაჭერა მოდური გახდა, ერთს არ წამოსცდენია, რამხელა პროცენტები აქვს მის ბანკს.

ეს ერისა და საზოგადოების ავადმყოფობაა. მე იმას არ ვამბობ, რომ გვერდით არ უნდა დავუდგეთ ამ ბანკირს, მაგრამ აქამდე იმავე ბანკირს სხვებთან ერთად მაღალი პროცენტების გამო რომ ვლანძღავდით, ახლა რატომ დავივიწყეთ ეს თემა? ასეთი მაღალი პროცენტი არც ყაზახეთშია, არც სომხეთში, არც აზერბაიჯანში.

ამ არანორმალურად მაღალ პროცენტზე ხმას არც მომავალში ამოიღებენ, იმიტომ, რომ მლიქვნელებად ვიქეცით, ქალი თუ კაცი ტელევიზორებში საცვლებს იფხრეწენ ბანკირის დასაცავად.

ეს იმიტომ ხდება, რომ გრძნობენ, რაღაც მოხდება და ცდილობენ, წინასწარ შეუძვრნენ სხვას. სახეზე გვაქვს ახალი მიმდინარეობის ჩამოყალიბების პროცესი. ამ მიმდინარეობას ის ბიზნესინტელიგენცია აყალიბებს, რომელიც აქამდე ივანიშვილთან კარგად ძოვდა, მაგრამ ის გაცვდა იორლა ცხენივით და ახალი ლუკმა უნდა იშოვოს. ისინი მზად არიან, „ოცნების“ დასუსტებულ ლიდერს ბოლო წიხლი ჩააზილონ.

# ხათუნა ლაგაზიძე: „შესაძლოა, „ოცნებამ" ვადამდელი არჩევნები დანიშნოს"

იაგო ნაცვლიშვილი

„ქართულ ოცნებაში" დაბრუნდა ყოფილი პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი, რაც ხმაურიანი განცხადებებით მოხდა. განსაკუთრებით ჭარბობდა აგრესიული რიტორიკა ოპონენტების მისამართით. პარალელურად, „ოცნება" ახალი სახეების ძიების სტრატეგიაზე გადადის.

პოლიტიკური განვითარების სავარაუდო ვერსიებისა და „ოცნების" ტაქტიკის შესახებ „ახალ თაობასთან" ინტერვიუში პოლიტოლოგი ხათუნა ლაგაზიძე საუბრობს.



„ოცნება" ძლიერი ხელის პოლიტიკას გაატარებს... ღარიბაშვილის დაბრუნება „ოცნებიდან" წასულებს სივრცეს ნაკლებად უტოვებს"

***— „ოცნებაში" ექსპრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი დაბრუნდა. კალაძესთან დაპირისპირება გამორიცხა, მაგრამ მაშინდელი კოალიციის წევრმა გუბაზ სანიკიძემ დაგვიდასტურა, რომ მათ დაპირისპირება ჰქონდათ. ივანიშვილმა ღარიბაშვილი კალაძის გავლენების შესუსტებისთვისაც დააბრუნა?***

— ღარიბაშვილის დაბრუნების რამდენიმე მიზეზს ვხედავ. ახლა გაჟღერებული ინფორმაციით დავიწყებ საუბარს, რომლის მიხედვითაც „ოცნება" ქირაობს კომპანიას და იწყებს ახალი სახეების რეკრუტირებას. იმ ინფორმაციაში ეწერა, რომ კი უცხოურ კომპანიას იწვევენ, მაგრამ მისი კურირება დაევალა კახა კალაძეს.

ეს ერთგვარი მოულოდნელობა იყო, იქიდან გამომდინარე რომ ღარიბაშვილის დაბრუნების ერთ-ერთ მიზეზად აღვიქვი ის, რომ ის არის პარტიაში არსებული ძალების საპირწონე. კერძოდ, როდესაც ივანიშვილმა დააანონსა პარტიის განახლება, ყველა ელოდა ახალ სახეებს. ამ ეტაპზე პარტია ძირითადად დაკომპლექტებულია სამი პერსონის კადრებისგან – ჯერ კიდევ შემორჩენილია კვირიკაშვილის კადრები, არის კობახიძის კადრები და კალაძის კადრები.

***— თავად ივანიშვილის კადრები არ არის?***

— არის, მაგრამ თვითონ ხომ არ დაიწყებდა რეგიონებში სიარულს ხალხის შესარჩევად. მთავარი სწორედ ის სამი პერსონაა. აქედან გამომდინარე, ივანიშვილს რომ სდომებოდა პარტიის გადახალისება, მას სჭირდებოდა ალტერნატიული დასაყრდენი, რომელსაც ის ამ გადახალისებას დაავალებდა და, ამავე დროს, მისი იმედიც ექნებოდა.

ღარიბაშვილის შემოსვლა სხვა ფაქტორებთან ერთად ამითაც იყო განპირობებული. ის განიხილა მან, როგორც ალტერნატიული დასაყრდენი, რომლის იმედადაც ის დაიწყებდა ამ საკადრო გადახალისების პროცესს. მაგრამ, ცხადია ისიც, რომ, ტრადიციულად, ივანიშვილი ერთ ფავორიტზე არ აკეთებს აქცენტს. როგორც ჩანს, საკადრო რესურსის მობილიზების თემა გადაანაწილა. ერთი მხრივ, ეს დაევალება ღარიბაშვილს, მეორე მხრივ კი კალაძე მაინც დარჩა, როგორც ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტი.

ბახტაძე ამ პოლიტიკურ დუღილში ნაკლებად ერევა. განათლებისთვის მთლიანი შიდა პროდუქტის 6%-ის გამოყოფა იმ მასშტაბის რეფორმაა, რომლის მსგავსიც „ოცნებას" არ განუხორციელებია, თუკი მას ბოლომდე მიყვანა ეღირსა.

გარდა ამისა, ღარიბაშვილის დაბრუნებას სხვა მიზეზებიც ჰქონდა. ეს არის პარტიიდან გადინების პროცესის შეჩერება. თვალსაჩინო იყო ის, რომ ვინც წავიდნენ პარტიიდან, ძირითადად ძველი თაობის წარმომადგენლები იყვნენ და ასევე – კონსერვატიული ფრთის.

***— პარტიიდან წასული დეპუტატები ღიად დაუპირისპირდნენ ღარიბაშვილს, რაზეც ისინი სწორედ ექსპრემიერმა გამოიწვია.***

— პარტიიდან სწორედ ამ კონსერვატიული ფრთის წარმომადგენლები გავიდნენ. აქვე შეგახსენებთ ნუკრი ქანთარიას განცხადებას, რომელიც ასევე პირველი თაობის „მეოცნებეა" და, ამავე დროს, კონსერვატიული ფრთის წარმომადგენელია. მანაც თქვა, რომ თუ ღირებულებებს დავშორდებით, „ოცნებაში" ჩემს ყოფნას მეც გადავხედავო. ეს იყო სიგნალი ივანიშვილისთვის, რომ რაღაცა გაეკეთებინა იმისთვის, რომ ეს ფრთა მთლიანად არ ჩამოშლილიყო.

ასეთად იგულა ღარიბაშვილი. ღარიბაშვილი პარტიის დაშლის პროცესის შეჩერებისთვისაც შემოიყვანა. ამავე დროს, მისი შემოყვანის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ის იყო ნაცმოძრაობის წინააღმდეგ ერთ-ერთი ყველაზე ხმამაღალი მებრძოლი. იმ დროს, როცა ბევრი მიმართულებით იშლება ზღვარი ნაცმოძრაობისა და „ოცნებას" შორის, ღარიბაშვილის შემოსვლა „ოცნების" ძველი გვარდიისთვის, როგორც წევრებისთვის, ასევე ამომრჩევლისთვის ძველ ნიშნულთან დაბრუნების მანიშნებელი უნდა ყოფილიყო. ღარიბაშვილის დაბრუნებით ივანიშვილმა ძველი გვარდიის მისამართით ერთგვარი სიმბოლური ნაბიჯი გადადგა.

***— იმუშავებს?***

— მთავარი კითხვა ეს არის. ამ ეტაპზე სოციალური ქსელების გარდა სხვა წყაროების ანალიზის საშუალება არ მქონია. თუ ამით ვიმსჯელებთ, ძველი გვარდიისგან დადებითი გამოხმაურება მოჰყვა. მე ვგულისხმობ პარტიის აქტივისტებსა ან ძალიან აქტიურ მხარდამჭერებს. მაგრამ ღიად რჩება საკითხი, რამდენად ეფექტური და საკმარისია ძველი გვარდიის ამომრჩევლისთვის მისი დაბრუნება. მისი დაბრუნება იყო კარგი შანსი „ოცნებისთვის", რომ მოსამართლეების კლანის თემა ჩამოერეცხა, შეეტოვებინა კობახიძის ჯგუფისთვის, ღარიბაშვილს სუფთა ფურცლიდან დაეწყო და ყოფილიყო ახალი გზის სიმბოლო.

***— თუმცა სასამართლო თემას ღარიბაშვილი გადაეფარა.***

— სიმართლე გითხრათ, მოულოდნელი იყო, როდესაც ღარიბაშვილსაც კობახიძის მესიჯებით გამოსვლა მოუხდა მოსამართლეების თემასთან დაკავშირებით.

ახალი სახეები როცა შემოვლენ, თუ ისინიც გახდებიან იმავე მესიჯების რუპორები, რამაც „ოცნების" რეიტინგი სავალალო მდგომარეობაში ჩააგდო, ძალიან მალე მოკვდება მათ მიმართ ინტერესი. ახალი სახეების ხიბლი ახალი იდეებია, თორემ იგივე იდეები გინდა ერთ კობახიძეს გაუჟღერებია, გინდა ათს: პირიქით, 10 კობახიძე საზოგადოების მხრიდან ათმაგად გაზრდილ უკმაყოფილებას გამოიწვევს. ეს უნდა გაიაზროს „ოცნებამ", რომ მისი პრობლემა არასწორი მიმართულებით სვლა და ღირებულებებია. თუკი ეს არ გაიაზრა, ახალი სახეების შემოყვანაც წყალში გადაყრილი შრომა იქნება.

პრობლემა ეს არის დღეს, რომ იდეა არ არის: სახელმწიფო მშენებლობის გზაზე საით მიდიან და როგორ მიდიან. ყველაფერი, რაც კეთდება, კარგიც კი, სპონტანურად კეთდება. ბევრი ისეთი პრობლემა შეისისხლხორცეს, რის გამოც ებრძოდა ხალხი ნაცმოძრაობას. ეს პრობლემები ქმნის საზოგადოებაში აგრესიას.

ბევრი ფაქტორი მუშაობს ვადამდელი არჩევნების თემაზე „ქართული ოცნებისთვის".

***— „ოცნებას" აწყობს ვადამდელი არჩევნები?***

— ვეხმიანები იმ ინფორმაციებს, რასაც ვეცნობოდი და რამდენად ლოგიკური შეიძლება იყოს ეს. ამას მტკიცებით ფორმაში არ ვამბობ, მაგრამ შესაძლებელია. პირველი იმიტომ, რომ ეს ცაიტნოტში ჩააგდებს ოპოზიციას, თუ არჩევნები 2019 წლის ოქტომბერში დაინიშნება 2020 წლის ნაცვლად. ვერ მოასწრებენ არჩევნებისთვის მომზადებას.

***— ოპოზიცია ითხოვს პროპორციულ სისტემაზე გადასვლას და დაწყებული აქვს ამაზე მუშაობა, რასაც საკონსტიტუციო ცვლილება სჭირდება და ასევე დროს მოითხოვს. ამ მიზეზითაც დანიშნავენ?***

— კი ბატონო. თუ ოპოზიციამ მოასწრო ამ ხელმოწერების შეგროვება და პროექტის ინიცირება, ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ხელისუფლება ელოდება დასავლეთის მხრიდან სერიოზულ ზეწოლას 2020-შივე პროპორციულ არჩევნებზე გადასვლის მიზნით და, შესაძლოა, ამის გამოც იფიქროს ვადამდელ არჩევნებზე: იმიტომ, რომ პროცედურები ვერ მოესწრება საკონსტიტუციო ცვლილებების გასატარებლად.

მესამე არგუმენტი არის ის, რომ ამ ახალი სახეების გაცვეთა არ მოხდეს. თუ ეს ახალი სახეები შემოჰყავთ რუპორებად და არა რეფორმატორებად, მაშინ, სანამ გაცვეთილან, მანამ უნდა შეიყვანონ პარლამენტში.

***— სანამ იმიჯს გაიფუჭებენ, მანამ რომ მოასწრონ არჩევნების ჩატარება?***

— დიახ, სანამ პეწს დაკარგავენ და ბუმბულები დასცვივდებათ, იქამდე ჩაატარონ არჩევნები. აქედან გამომდინარე, მე ვფიქრობ, რომ ვადამდელი არჩევნები, როგორც ვერსია, მაინც განიხილება „ქართული ოცნების" წიაღში. უხეში შედარებაა, მაგრამ დაახლოებით ისეთი რამე შეიძლება მოხდეს, რაც სააკაშვილმა გააკეთა, როცა 2007-ში თავს უშველა და 2008-ში ხელახლა მოვიდა. ეს „ქართული ოცნებისთვის" ტაქტიკური სვლა შეიძლება გამოდგეს. უპირველესად, მიზეზი მაინც ოპოზიციის ცაიტნოტში ჩაგდება მგონია.

***— „ოცნების" კულისებიდანაც ხომ არ გაქვთ ინფორმაცია?***

— არა. დროც არ მქონია, რომ რაიმე ალტერნატიული ინფორმაცია მომეძიებინა. ამის კიდევ ერთი მიზეზი ისიც არის, რომ თუკი არსებობს ახალი პოლიტიკური ძალის ფორმირება ოპოზიციაში, ესეც ვერ მოესწრება. ოპოზიცია იმასაც ვერ ახერხებს, რომ მთაწმინდის მაჟორიტარის კანდიდატზე შეჯერდეს. არადა, ეს ფაქტობრივად საპარლამენტო არჩევნების რეპეტიცია იქნებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ძირითადად უარყოფითი კონტექსტით ტრიალებს მედიის დღის წესრიგში, ოპოზიცია საერთოდ აღარ ჩანს არც ტელეეკრანზე და არც პრესის ფურცლებზე, ანუ საინფორმაციო დღის წესრიგის შემქმნელი უფრო მეტად ხელისუფლებაა.

***— საინფორმაციო ველზე ძირითადად ხელისუფლება ან ხელისუფლებიდან წასული დეპუტატები ტრიალებენ.***

— დიახ, თუმცა, მათთვისაც დიდი დარტყმაა ღარიბაშვილის დაბრუნება. როგორც ჩანს, ისინიც არ ელოდნენ ამას. ღარიბაშვილის შემოსვლა ამ ჯგუფს ნაკლებად უტოვებს სივრცეს.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ ზუსტად ერთსა და იმავე ამომრჩეველზე მუშაობენ, ერთისა და იმავე გემოვნების, შეხედულებების, კონსერვატიული ღირებულებების მატარებელ საზოგადოებაზე.

***— ხომ არ მოუწევს მათ საკუთარი ხედვების გადახედვა? ვგულისხმობ იმას, რომ აკრიტიკებენ კობახიძის გუნდს, მაგრამ არ აკრიტიკებენ ივანიშვილს. ხომ არ მოუწევთ ტაქტიკის შეცვლა, რათა ივანიშვილის პირდაპირი კრიტიკა დაიწყონ?***

— ძალიან კარგი კითხვაა. როგორც ჩანს, ესენი ყველანი საკუთარ თავს მაინც ივანიშვილის ორბიტაზე განიხილავდნენ 2020 წლისთვის. არ ვგულისხმობ იმას, რომ ივანიშვილი მართულ ოპოზიციას ქმნიდა. ისინი როცა კობახიძისკენ იშვერდნენ ხელს და არა უფრო მაღლა, ეს პირდაპირ მიანიშნებდა იმაზე, რომ ისინი დიალოგისთვის გზასა და სივრცეს იტოვებდნენ 2020 წლისთვის.

როგორც ჩანს, ლოგიკა იყო იმგვარი, რომ თუ არჩევნები 2020-ში პროპორციული წესით ჩატარდა, „ოცნებას" დასჭირდება პარტნიორები, რომლებთანაც პარლამენტში შექმნის კოალიციას. ალბათ ჩათვალეს, რომ ივანიშვილისთვის ნაკლებად უხერხული პარტნიორები იქნებოდნენ მისივე პარტიიდან წასული წევრები, ვიდრე ნაცმოძრაობა ან „ევროპული საქართველო".

ღარიბაშვილის შემოსვლით მათ, ფაქტობრივად, მიეთითათ, რომ მათი ადგილი „ოცნებაში" უკვე შეივსო მათზე მძიმეწონიანი ფიგურით და მათივე ადგილი ასევე შეივსო ამომრჩეველშიც. ეს მესიჯია მათთვის, თქვენ 2020-ში საჭირონი აღარ იქნებითო. შეიძლება, მათ დაინახეს იგივე საფრთხე, რომელიც თავის დროზე – მეჭიაურმა.

2016-ში მაშინდელი კოალიციის დაშლის შემდეგ „ოცნების" შიგნით 2 თუ 3 პარტია ამოიზარდა. ეგონათ, ივანიშვილი დააფინანსებდა და პარლამენტში შევიდოდნენ, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. 2016 წელს კოალიციიდან წასულებიც ბოლომდე ცდილობდნენ, ივანიშვილთან დიალოგის გზები არ გაეწყვიტათ. ამან მათ საარჩევნო კამპანიის წარმოებაში დრო დააკარგვინა – ელოდნენ სიგნალს ივანიშვილისგან, რომ ისინი პარლამენტში კოალიციის შიგნით სასურველი პარტნიორები იქნებოდნენ და კამპანიაც კი ვერ აწარმოეს ნორმალურად.

***— რესპუბლიკელებსა და „ფორუმს" გულისხმობთ?***

— დიახ, მათაც და გარკვეულ ვადამდე თუნდაც იმავე თავისუფალ დემოკრატებსაც. ვფიქრობ, რომ ეს მოლოდინი „ოცნებიდან" გამოყოფილ თუ მომავალში გამოსაყოფ ძალებსაც ექნებათ, არა სატელიტი პარტიის, არამედ ნაკლებ უხერხული ოპონენტის ნიშის დაკავების.

***— მისაღები ოპოზიცია, რაზეც ღარიბაშვილი საუბრობდა?***

— დიახ.

***— ღარიბაშვილისგან რადიკალური მესიჯებიც მოვისმინეთ, რომლებიც ნაცმოძრაობის მისამართით იყო. „ოცნება" რადიკალიზაციისკენ წავა?***

— „ოცნება" იდგა ასეთი არჩევანის წინაშე – რეფორმები თუ ძლიერი ხელი, რა იქნებოდა ძირითადი ხაზი. იდეალური ვერსია არის რეფორმები ძლიერი ხელით, ოღონდ არა სააკაშვილის სცენარის, იმიტომ, რომ საზოგადოება ქაოსითა და გაუგებრობით დაიღალა. მას სჭირდება ძლიერი ლიდერი, რომელიც სტაბილურობის განცდას შესძენს, მეორე მხრივ, დინამიკა და „ექშენი", ანუ ის, რომ ქვეყანა ამოძრავდა და ამ მოძრაობაში, კარგი გაგებით, საზოგადოების ყველა წევრი ჩართო.

თუ „ოცნება" საზოგადოებას ძლიერ ლიდერსა და რეფორმებს შესთავაზებდა, ეს იქნებოდა იდეალური. თუ ორივეს ვერ სთავაზობს, ერთ-ერთი მაინც უნდა შესთავაზოს. არ ვიცი, რამდენად შესთავაზებენ რეფორმებს საზოგადოებას, მაგრამ ის, რომ ძლიერი ხელის პოლიტიკის გატარებას დაიწყებენ, უკვე ცხადია.

რა გამოვა აქედან, გაუგებარია, რადგან ჩანს, რომ „ოცნების" ლიდერები მათ წინაშე მდგარ გამოწვევებს შესაბამისად ვერ აფასებენ.

# თამაზ გაიაშვილი: „თურქები გვავიწროებენ და ამაზე ხმას არავინ იღებს"

„ჯორჯიან ეარვეისის" დამფუძნებელი თამაზ გაიაშვილი ბმ.გე-თან თბილისისა და ბათუმის ოპერატორ თურქულ კომპანია „ტავ ურბან ჯორჯიას" შევიწროებაში ადანაშაულებს.



მისი თქმით, ისეთი გადასახადები, როგორიც „ტავ ურბან ჯორჯიას" აქვს დაწესებული, არ არსებობს ევროპის თითქმის არც ერთ აეროპორტში. მათ შორის ეს არის მიზეზი, რაც „აირზენას" ავიაბილეთების გაიაფების შესაძლებლობას უკარგავს.

— თურქები მავიწროებენ და ამაზე ხმას არავინ იღებს. არც ბიზნესასოციაცია, ალბათ მას არ აინტერესებს ასეთი პროფილის ბიზნესი დაიცვას. „ტავს" მილიონები მიაქვს ჩვენი ქვეყნიდან და ჩვენ აქ სულ ზარალში ვართ, – აცხადებს გაიაშვილი.

„ჯორჯიან ეარვეისის" ხელმძღვანელს მიაჩნია, რომ „ტავ ურბან ჯორჯიას" მმართველობის პირობებში, შეუძლებელია ქართული ავიაციის ფუნქციონირება და შემდგომი განვითარება.

„ტავ ურბან ჯორჯიას" წელიწადში სუფთა მოგების სახით 400 მილიონ ლარზე მეტი გააქვს საქართველოდან, სანაცვლოდ კი თბილისში, რეგიონში ყველაზე ცუდი აეროპორტი გვაქვს, ხოლო ბათუმის აეროპორტში გაუსაძლისი პირობებია. „ტავ ურბან ჯორჯია" უარს ამბობს მოსაკრებლის შემცირებაზე, ქართული ავიაცია კი სულ უფრო და უფრო ზარალდება"

კითხვაზე, რამდენად შეუძლია „აირზენას", კონკურენციაში შევიდეს სხვა ავიაკომპანიებთან ფასების კუთხით, რადგან მგზავრები ამბობენ, რომ ქართული ავიაკომპანიის მომსახურება ძვირია, გაიაშვილი ასე პასუხობს:

— ასეთი აეროპორტის პირობებში, როგორიც არის „ტავი", ბილეთის ღირებულება ჯდება ძვირი. რომ გავაიაფოთ, აეროპორტი და ავიაცია უნდა იყოს იაფი, – აცხადებს გაიაშვილი.

„ტავ ურბან ჯორჯიას" საქმიანობის გასაპროტესტებლად „ჯორჯიან ეარვეისი" თბილისის საერთაშორისო აეროპორტში 12 მარტს, 15 საათზე, აქციას აანონსებს.

„ჯორჯიან ეარვეისის" მორიგ ბრალდებებს „ტავ ურბან ჯორჯია" ამ დრომდე არ გამოხმაურებია.

ბმ.გე

# მირიან მირიანაშვილი: „სააკაშვილი თავის მომხრეებს ვერ უხსნის, რატომ გაჩერდა“

## „ივანიშვილსა და ხაზარაძეს შორის ნამდვილი შეჯახება იქნებოდა მაშინ, თუ ისინი დამოუკიდებელი ფიგურები იქნებოდნენ“

მარიამ მჭედლიშვილი

მმართველი პარტია ირწმუნება, რომ პარტიის შიგნით და ქვეყანაში სიტუაციას ალაგებს. „ქართული ოცნების“ მიერ ინიცირებული მოქმედებები საზოგადოებაში ქაოსის განცდას უფრო იწვევს, ვიდრე პრობლემების მოგვარების შეგრძნებას. ქვეყანაში მიმდინარე ქაოტურ მოვლენებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, „საქართველოს გადარჩენის მოძრაობის“ ლიდერ მირიან მირიანაშვილს.

***— ყოფილი პრემიერის, ირაკლი ღარიბაშვილის „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ მდივნად დანიშვნა ნიშნავს თუ არა იმას, რომ თქვენ მიერ გახმაურებული სქემები საქართველოში ხელისუფლების გადაბარების შესახებ ჩავარდა?***

— რუსეთში შემუშავებული რამდენიმე სქემა, ფაქტობრივად, ჩაფლავებულია. ერთი კომბინაციის მიხედვით, ევროპაში ამოქმედდა მიხეილ სააკაშვილი, მეორე კომბინაციით, პოლიტიკაში ხმაურით მოვიდა მამუკა ხაზარაძე. ორივე შემთხვევაში ამ პიროვნებებს მოჰყვებოდნენ სხვები და მოხდებოდა გადაჯგუფებები როგორც პარლამენტში, ისე მთავრობაში. ამ გზებით მოსკოვმა მოიფიქრა ბიძინა ივანიშვილის ასპარეზიდან გასვლა. სცენარები გათვლილი იყო დასავლეთისათვის თვალის ახვევაზე. ამას ამერიკელებიც უნდა დათანხმებულიყვნენ. რუსებს ეს დასჭირდათ რისკების თავიდან ასაცილებლად. ივანიშვილი, როგორც კრემლთან დაახლოებული ბიზნესელიტის წარმომადგენელი, მკაცრი ამერიკული სანქციების კანდიდატია. ამ სქემებს დასავლეთი არ წამოეგო. სააკაშვილის გაჩერების მიზეზებზე შემიძლია, მოგვიანებით მოგახსენოთ.

***— ამერიკელები რუსული სქემებით ვერ მოტყუვდნენ და ივანიშვილს მოუხდა ახალ გეგმაზე გადართვა, ანუ „ქართული ოცნების“ გადაკეთება-გაძლიერება ღარიბაშვილის ჩართვით?***

— ამ ეტაპზე ასეა. ირაკლი ღარიბაშვილს იმ ორ სქემაშიც უნდა შეესრულებინა როლი იმ თვალსაზრისით, რომ უნდა ყოფილიყო საპირწონე ერთ შემთხვევაშიც და მეორე შემთხვევაშიც.

***— სააკაშვილის ან ხაზარაძის საპირწონე?***

— ცხადია. ღარიბაშვილს დააბრუნებდნენ პარტიის ლიდერად, ასევე შინაგან საქმეთა მინისტრად გახარიას პრემიერობის პირობებში. ის იქნებოდა პარტიის ლიდერი და შს მინისტრი. ეს ჩანაფიქრი გადაიდო.

***— თუ ის სქემები არ გამოვიდა, სადაც ირაკლი ღარიბაშვილი საპირწონე უნდა გამხდარიყო, მას ახლა სხვა ფუნქცია დააკისრეს?***

— რუსებს ამ კომბინაციებში, ასევე წინა სქემებში, ხელი მოეცარათ. ამიტომ მოიფიქრეს გამოსავალი.

***— ეს გამოსავალია „ქართული ოცნებისაგან“ შედარებით ნორმალური პარტიის შექმნა? განახლებულ პარტიას ქმნიან ღარიბაშვილისა და იმ ახალი სახეების მონაწილეობით?***

— დაახლოებით ასეთი გეგმაა. პირადად მე ეჭვი მეპარება, რომ რუსული პოლიტტექნოლოგიები ასე დაკნინებულიყო.

***— ეს სწორი სვლა არ არის?***

— ეს სქემა კი არა, უგუნურებაა. ალბათ, რუსეთშიც ხვდებიან, რაც უნდა გააკეთილშობილონ „ქართული ოცნება“, გააპიარონ ირაკლი ღარიბაშვილი და პარტია არჩევნებში პირველ ადგილზეც გაიყვანონ, ეს წარმატება არ იქნება.

***— სალომე ზურაბიშვილზეც ამბობენ ოპონენტები, რომ მას რეალურად არ გაუმარჯვია, მაგრამ ის მაინც პრეზიდენტია..***

— სალომე ზურაბიშვილის გამარჯვება დასავლეთმა ცნო. მისი კანდიდატურა არჩევნებამდეც მისაღები იყო ვაშინგტონისათვის იმის გამო, რომ ის კრემლს არ შეურჩევია. კრემლს სხვა ფავორიტები ჰყავდა. აშშ-ის პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილს წერილობით მიულოცა გაპრეზიდენტება. ამ წერილს ხელისუფლება რამდენიმე დღის განმავლობაში მალავდა. „ქართულ ოცნებას“ დასავლეთში ნდობის ნატამალიც არ გააჩნია. რაც უნდა გადააკეთონ მმართველი პარტია, მის გამარჯვებას ამერიკა ვერ აღიარებს.

***— ივანიშვილი-ხაზარაძის დაპირისპირება, გახარიას წერილი, ბიზნესკლიმატის გარშემო ატეხილი დავიდაბარა — ეს ყველაფერი დადგმული სცენარის ნაწილია?***

— რასაკვირველია. გადაბარებას ახლავს უამრავი ბუნებრივი ატრიბუტი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური დაპირისპირების ჩათვლით. ივანიშვილსა და ხაზარაძეს შორის ნამდვილი შეჯახება იქნებოდა მაშინ, თუ ისინი დამოუკიდებელი ფიგურები იქნებოდნენ.

***— სააკაშვილის გაჩერებაზე უნდა გესაუბრათ.***

— განსაკუთრებული აზროვნების უნარი არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ ბოლო დროს ძალიან გააქტიურებული სააკაშვილი გაჩერდა. აღარ ანონსდება ემიგრანტებთან შეხვედრები საფრანგეთში. სააკაშვილის ევროპული შეხვედრების ნამდვილი ორგანიზატორი რუსული სპეცსამსახურებია. ფინანსურად და ორგანიზაციულად, ფსბ-ს ამ გეგმის ერთ-ერთი აქტიური მომწყობი პუტინთან დაახლოებული ბიზნესმენი რუბენ ვარდანიანია. დასავლურმა მედიამ ბოლო დროს მასზე იერიში მიიტანა და მისი შავი ფულადი გადარიცხვები გამოააშკარავა. ვარდანიანი საქართველოს 90-იანი წლებიდან იცნობს. მას კავშირი ჰქონდა პატარკაციშვილთან და ბერეზოვსკისთან, რომლებიც მოქალაქეთა კავშირის ნამდვილი პატრონები იყვნენ. სააკაშვილის დაცხრობა ვარდანიანზე დასავლეთის თავდასხმას ემთხვევა. დასავლეთმა დაამტკიცა, რომ საქმის კურსშია რუსეთის სპეცსამსახურების მოქმედებებზე ევროპაში. პარადოქსული ის არის, რომ „ბელადი“ ექსპრეზიდენტი ვერ უხსნის თავის მომხრეებს თავისი გასუსვის ნამდვილ მიზეზებს.



**სალომე ზურაბიშვილის გამარჯვება დასავლეთმა ცნო. მისი კანდიდატურა არჩევნებამდეც მისაღები იყო ვაშინგტონისათვის იმის გამო, რომ ის კრემლს არ შეურჩევია. კრემლს სხვა ფავორიტები ჰყავდა. აშშ-ის პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილს წერილობით მიულოცა გაპრეზიდენტება. ამ წერილს ხელისუფლება რამდენიმე დღის განმავლობაში მალავდა. „ქართულ ოცნებას“ დასავლეთში ნდობის ნატამალიც არ გააჩნია. რაც უნდა გადააკეთონ მმართველი პარტია, მის გამარჯვებას ამერიკა ვერ აღიარებს.**

***— რაიმე მიზეზი ვერ მოიფიქრა?***

— სააკაშვილს დამოუკიდებლად არასდროს უწარმოებია პოლიტიკა. ახლაც მარიონეტია და თავისით ხალხს ვერ ელაპარაკება. ასეთი იყო „რევოლუციონერი“ სააკაშვილიც. ე.წ. ვარდების რევოლუცია რუსეთის სპეცსამსახურების სპეცოპერაცია იყო. ამ სპეცოპერაციას კიდევ უწოდებენ „სომხურ რევოლუციას“. მასში ყველანაირად მონაწილეობდა ჩემ მიერ ნახსენები რუბენ ვარდანიანი. ეს კაცი, ახლახან, 2018 წლის სექტემბრის ბოლოსაც ჩამოვიდა თბილისში და აქ 2 თვე დაჰყო. იგი ჩემთან მორიგებას ცდილობდა.

***— პარტიის გამო? სააკაშვილს, დიდი ხანია, პარტიის მისაკუთრების გამო უჩივით.***

— სწორედ პარტიის გამო დამელაპარაკა ვარდანიანი. ქვეყანამ იცის, რომ ამ საქმეში მართალი ვარ, სააკაშვილი კი მტყუანია. ხელისუფლების გადაბარების წინ უნდოდათ, ეს საქმე მოეწესრიგებინათ. ვარდანიანი სააკაშვილთან შეხვედრასა და ყველაფრის მოგვარებას მთავაზობდა. ბუნებრივია, არ დავთანხმდი. ცოტა ხნის წინ ევროპის შემდეგ დაგეგმილი იყო სააკაშვილისა და ემიგრანტების ჯგუფების შეკრება საქართველოს სიახლოვეს, ტრაპიზონსა და ბაქოში. თურქეთის პოლიციამ, როგორც ვიცი, ქართველი ემიგრანტების შეხვედრის ნებართვა არ გასცა. ბაქოში სააკაშვილი თავის ბიზნესპარტნიორებს — აგალაროვებს შეუთანხმდა და, ალბათ, აზერბაიჯანში საქმე ჩააწყო, მაგრამ ფსბ-ს სპეცოპერაცია სააკაშვილი-ემიგრანტების თემაზე დაპაუზებულია. შესაძლოა, ოპერაცია ოპერატიული პაუზის შემდეგ განახლდეს ან საბოლოოდ ჩაიშალოს. ენერგიულად გამოქანებული სააკაშვილი თავის ხალხს ვერ აძლევს განმარტებებს გაჩერების მიზეზებზე. საქართველოს პარლამენტში შეყვანილი ბიორობოტები, რომლებიც თავს პოლიტიკოსებს უწოდებენ, სააკაშვილზე უფრო იბნევიან. ეს ხალხი მოქმედებს იმ მითითებებით, რომლებიც დროდადრო თბილისში ჩამოაქვს პუტინის თანაშემწე სურკოვს. ადრე დაანონსებული მეგაძვრების მაგივრად პარლამენტში მიკრონაბიჯი გადაიდგა — უმრავლესობა რამდენიმე პირმა დატოვა. საზოგადოების დიდი ნაწილი გაურკვევლობაშია. ხალხს არ ესმის, რა მოტივები ამოძრავებს პოლიტელიტას და რატომ ხდება ამდენი გაუგებარი მოვლენა ქვეყანაში.

# სოსო ცინცაძე: „სამთავრობო ცვლილებები გარდაუვალია“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***— ბატონო სოსო, არსებობს ინფორმაცია, რომ „ქართული ოცნება“ დაქირავებული კომპანიით ცდილობს ახალი კადრების შერჩევას. რა შეგიძლიათ ამაზე გვითხრათ, რამდენად გაამართლებს?***

— ეს რაღაც ეგზოტიკაა. ვიღაც კომპანიას დაავალო კადრების შერჩევა — ეს რაღაც ნოუჰაუა. სიმართლე გითხრათ, პოლიტოლოგიაში დავბერდი კაცი და მსგავსი არაფერი არც მსმენია არსად და არც წამიკითხავს ლიტერატურაში. თან არ ვიცი, ქართული კომპანიაა თუ უცხოური. კომპანია თუ უცხოურია, მაშინ გაუგებარია, როგორ არჩევს ადგილობრივ კადრებს?! თუ ქართული კომპანიაა, მაშინ საქართველო ძალიან პატარა ქვეყანაა, სადაც ყველა ყველას იცნობს და მთავარი კრიტერიუმით, პროფესიონალიზმით კი არ მოხდება შერჩევა, არამედ — ნაცნობობით. თუმცა, მე მაინც არ მესმის ამ მეთოდის.

რა თქმა უნდა, პრობლემა სწორად არის მიგნებული. რასაკვირველია, ახლა „ქართული ოცნების“ სერიოზული პრობლემა კადრებია, კადრები არა მხოლოდ პარტიაში, არამედ ყველგან, ყველა დონეზე. მთავარი პრობლემა პროფესიონალიზმის არარსებობაა. აქამდე ერთგულება იყო მთავარი კრიტერიუმი, მაგრამ ერთგულებაც არის და ერთგულებაც. თუ პროფესიონალიზმი არ იქნება, მაშინ ერთგულების ნიშნით შორს ვერ წახვალ.



გამსახურდიადან დაწყებული, შევარდნაძე, სააკაშვილი — ყველა მმართველი ერთგულებას ანიჭებდა უპირატესობას და პროფესიონალიზმს ივიწყებდა, მაგრამ ამან რა შედეგამდე მიგვიყვანა, კარგად ვხედავთ. თუ ეს კრიტერიუმი არ იქნება დავიწყებული და მთავარი არ გახდება პროფესიონალიზმი, ამ დღეში ვიქნებით.

არავის აწყობს დამოუკიდებელი პროფესიონალი, რადგან ის ხორკლიანია. ის შინაგანად უფრთხილდება თავის რეპუტაციას, თავის პროფესიონალიზმს, რომლის მოპოვებაც ძალზე ძვირი ღირს. დილეტანტები, რომლებიც მზად არიან, ყველაფერზე წავიდნენ თანამდებობის ფასად, ეს ადამიანები არც მათ უნდა აწყობდეთ. მაგალითად, თავის დროზე ნაპოლეონმა მთავრობის შედგენა რომ დაიწყო, შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი ცნობილ ქიმიკოსს შესთავაზა, რომელიც თავისი კრიტიკით პირდაპირ ტყავს აძრობდა ნაპოლეონს. ნაპოლეონისგან მას ეს შეთავაზება ძალიან გაუკვირდა, თუმცა ნაპოლეონმა, იცით, რა უთხრა? — რამდენიც გინდა, იმდენი მაკრიტიკე, ოღონდ ეს სამინისტრო ამიწყვეო. მართლაც შესანიშნავი სისტემა ააწყო, კარგი მენეჯერი იყო. კენედი პრეზიდენტი რომ გახდა, თავში ხელი იტაცა, სად ვიპოვო 100 პროფესიონალიო.

***— სამთავრობო ცვლილებებზეა საუბარი, თითქოს ეკონომიკის მინისტრზე გავრცელდა ხმები, მაგრამ ქობულიამ თქვა, არსად არ მივდივარო.***

— ქობულიას თუ გაუშვებენ, გაუშვებენ არა იმიტომ, რომ ეკონომიკა ვერ გამართა და პროფესიონალი არ აღმოჩნდა, გაუშვებენ იმიტომ, რომ უკაცრავად, მაგრამ დიდი სისულელეები ილაპარაკა. მთავარი ის კი არ არის, თქვენ როგორ გრძნობთ თავს და გშიათ თუ არაო, მთავარია, დოკუმენტებში რა წერია. მე აგერ მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტი მიჭირავს ხელში, თქვენ კარგად ცხოვრობთო. შენი ქვეყნის მინისტრი, თან ეკონომიკის მინისტრი, გართობის მინისტრი ხომ არ არის, ასე როგორ უნდა იყოს რეალობას მოწყვეტილი, რომ ეს უთხრას თავის ხალხს. მე ისე მიკვირს, როგორ ინიშნებიან ასეთი შემთხვევითი ადამიანები ასეთ თანამდებობებზე!

***— ამ შემთხვევაში, შეიძლება, სულაც არ იყო ერთგულება წამყვანი. ის წარმატებული ბიზნესმენი იყო და ამიტომ ჩამოიყვანეს...***

— და გაამართლა მერე?! ერთი, ორი არა, მსხვილი ეკონომიკური პროექტი შეგიძლიათ დამისახელოთ, სადაც ხალხი დასაქმდა და ამ პროექტმა ქვეყანას სარგებლობა მოუტანა?!

***— სამთავრობო ცვლილებებს რომ დავუბრუნდეთ, მოსალოდნელია?***

— ახლა მთავარი ყურადღება, როგორც ჩანს, პარტიისკენ არის მიმართული, რამდენიმე თვეში ვნახავთ, რას იზამს იქ ღარიბაშვილი. მას, როგორც ჩანს, მართლაც პარტიული საქმეები ჩააბარეს. თუ ცოტათი უკეთესობა იქნება პარტიაში, მაშინ ის მთავრობაში გადმოინაცვლებს. თუმცა, მანამდე გარკვეული დროა საჭირო. მე მაინც რამდენიმე თვეს მივცემდი. ალბათ, ორ თვეში ან ნაკლებ დროში ან ცოტა მეტში სამთავრობო ცვლილებები, უბრალოდ, გარდაუვალია. თუმცა, მმართველობის სისტემა თუ პროფესიონალიზმზე არ დგას, ის ვერასოდეს გახდება ეფექტური, პირიქით, ხელისუფლებას პრობლემებს შეუქმნის და ჩვენ ამას აშკარად ვხედავთ.

***— ღარიბაშვილის დაბრუნებას არაერთგვაროვანი რეაქციები მოჰყვა. თქვენ რას იტყვით?***

— ღარიბაშვილი ხისტია. ის არ არის ელასტიკური. მას ყოველთვის აკლდა დიპლომატიურობა. მისი მართვის სტილი ცნობილია, ის არ შეცვლილა. ვნახოთ, რას მოუტანს პარტიას მისი დაბრუნება. როგორც ჩანს, ივანიშვილმა გადაწყვიტა, რომ ახლა საჭიროა ღარიბაშვილის ეს სიხისტე, შეუპოვრობა, რომელიც მას აქვს თუნდაც ოპოზიციის მიმართ. მისი პირველი განცხადებით უკვე გამოჩნდა, რომ გააგრძელებს იმ პოლიტიკას, რომელიც ჰქონდა, როგორც პრემიერს.

მე მაინც მგონია, რომ სრული სურათის შესაქმნელად ერთი-ორი თვე მაინც არის საჭირო.

# ექიმებს, რომლებიც ერთ დაავადებაზე 17 მედიკამენტს წერენ, შეამოწმებენ

**ფარმაცევტულ ბაზარზე არსებული დარღვევების შესახებ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ 2018 წლის ანგარიში გამოქვეყნდა. ანგარიშის მიხედვით, საქართველოს ბაზარზე დაშვების უფლების არმქონე ფარმაცევტული პროდუქტის მიმოქცევის 17 ფაქტი; ვადაგასული ფარმაცევტული პროდუქტის განადგურების დადგენილი წესის დარღვევის 39 ფაქტი; აღნიშნული წესის განმეორებით დარღვევის 3 ფაქტი; ვადაგასული ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზაციის 2 ფაქტი დაფიქსირდა.**

**დარღვევების გამო 2018 წელს 23 ავტორიზებულ აფთიაქს ნებართვა გაუუქმდა.**

**ვინ აკონტროლებს მედიკამენტების ხარისხს, რა საკანონმდებლო ცვლილებების მოლოდინშია სახელმწიფო, როგორ აპირებენ ექიმის მიერ პაციენტისთვის არასასურველი რაოდენობის მედიკამენტის გამოწერის პოლიტიკასთან ბრძოლას და როდიდან ამოქმედდება რეფორმა, რომელიც „პრობლემურ ექიმებს“ სააშკარაოზე გამოიყვანს? – ამაზე „ახალ თაობას“ ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძე ესაუბრა.**



ლელა მდივანი

***– ფარმაცევტულ ბაზარზე არსებული ამ დარღვევების ფონზე მონიტორინგის მექანიზმების გაუმჯობესება არ არის საჭირო?***

– აუცილებელიც არის და საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისი მზადებაც მიმდინარეობს სამინისტროს მიერ. ჩვენც აქტიურად ვართ ჩართული, იმიტომ, რომ ხარისხის კონტროლი არის მთავარი მიმართულება, რაზეც ჩვენ პირველ რიგში უნდა გავამახვილოთ ყურადღება.

ის, რაც დღეს კეთდება, არსებული შეზღუდვების პირობებში მაქსიმუმია, მაგრამ გაცილებით მეტი თანხები სჭირდება ხარისხის კონტროლს და მეტი უნდა გამოიყოს მომავალში.

ახლა წამლის სააგენტო შეიქმნა და ამ ახალი სააგენტოს პირობებში, შესაბამისი რესურსების მობილიზაციასთან ერთად და ახალი საკანონმდებლო ცვლილებებით, მიგვაჩნია, რომ ხარისხობრივად გაუმჯობესდება ხარისხის კონტროლის პროცესები, ძალიან მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს. ეს არის ჩვენთან ძირითადი პრობლემა -– ხელმისაწვდომობა წამლებზე და ხარისხი.

***– რა განსხვავებული ფუნქცია აქვს წამლის სააგენტოს? მოხდა რეორგანიზაცია.***

– კი, მოხდა რეორგანიზაცია, მაგრამ მოხდა არსებული ბიუჯეტის ფარგლებში და, სავარაუდოდ, მომავალში კიდევ დასჭირდება შევსება. ჯერ უნდა ჩამოვყალიბდეთ, საკანონმდებლო ცვლილებებს მივიღებთ და კადრების დამატება და მათთვის ბიუჯეტის გაზრდაც საჭირო გახდება.

120.000-ია სულ თითო საკონტროლო საქმიანობაზე გამოყოფილი და ბოლო წლები თითქმის არ იცვლება ეს ბიუჯეტი. როცა ფარმაცევტული ბაზარი დიდია და 12.000 დასახელების სხვადასხვა სამედიცინო პრეპარატი თუ მოხმარების საგანი ცირკულირებს, რთულია თითოეული მათგანის გაკონტროლება ასეთ პირობებში, იქნება ეს საკონტროლო შესყიდვები და თითოეული მედიკამენტის გაკონტროლება.

კი, რეგისტრაციის პროცესი არსებობს, ასევე – ბაზარზე შემოსვლასთან დაკავშირებული სხვადასხვა მექანიზმი, რომლებითაც ხდება ხარისხის ვერიფიცირება, მაგრამ ბაზარზე რაც ცირკულირებს, იმ მედიკამენტების საკითხი არის პრობლემატური – მათი შემოწმება სრულყოფილად.

***– მსხვილ ფარმაცევტულ კომპანიებს, რომლებსაც მედიკამენტებზე ერთნაირი ფასები და ფასდაკლების დღეებიც კი ერთნაირი აქვთ, კარტელური გარიგება ხომ არ აქვთ?***

– ეს კონკურენციის სააგენტომ უნდა შეისწავლოს, თუ არ ვცდები, სწავლობენ კიდეც და, მგონი, ჯობს, შედეგებს დაველოდოთ.

***– ხშირად ექიმები პაციენტს იმაზე მეტ და ძვირ წამლებს უწერენ, ვიდრე საჭიროა. საუბარია ექიმების კომერციულ ინტერესზე ფარმაცევტულ კომპანიასთან. ამ შემთხვევების აღმოფხვრა რა რეფორმით არის შესაძლებელი და თუ მუშაობთ ამაზე?***

– კი, არის ეს პრობლემა. ერთადერთი გამოსავალი ამ სიტუაციიდან არის გამჭვირვალობა. ელექტრონული რეცეპტული სისტემა უკვე გვაქვს შექმნილი და წელს თბილისში, მომავალი წლიდან კი მთელი საქართველოს მასშტაბით სავალდებულო გახდება და მკაფიოდ გამოჩნდება, ვინ რამდენ წამალს წერს და როგორ წერს. ანალიზის საშუალება იქნება და კონკრეტულად ასეთი შემთხვევებისა და „პრობლემური ექიმების“ შემოწმება მოხდება, რომლებიც ერთ დაავადებაზე 17 მედიკამენტს წერენ. ეს პროცესი გამჭვირვალე იქნება და საზოგადოებას ეცოდინება ამის შესახებ. მერწმუნეთ, საკმაოდ ძლიერი ბერკეტია ეს.

***– რა სახის მონიტორინგი იქნება? ადმინისტრაციული სახდელიც ხომ არ დაეკისრებათ?***

– ჯერ ჯობს, ეს პრობლემა გავაანალიზოთ და მერე მოვიფიქრებთ, რა ზომების მიღება შეიძლება. შესაძლებელია, ეს იყოს უბრალოდ გამოქვეყნება ამ ექიმების ვინაობის, ვინც ასეთ მიდგომებს მიმართავს. ამ შემთხვევაში ესეც დიდი სტიმული იქნება, როცა რეპუტაციას ეხება საქმე. როცა საზოგადოებას ეცოდინება, რომ ის არის ექიმი, რომელიც ზედმეტ წამალს უწერს ავადმყოფს, იმიტომ, რომ ფარმაცევტული კომპანია მას ფულს უხდის, არა მგონია, ამ ხერხმა მასზე არ იმოქმედოს.

***– თუ სახელმწიფო მედიკამენტების ფასის დარეგულირებას შეეცდება, ეს ბიზნესში ჩარევა იქნება?***

– არავითარი ბიზნესში ჩარევა არ იქნება ეს. მთელ მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, რომელიც არ არეგულირებდეს ამა თუ იმ მეთოდით ზოგადად სამედიცინო მომსახურებისა და განსაკუთრებით ფარმაცევტული პროდუქციის ფასებს, იქნება ეს შესყიდვები თუ ირიბი ან პირდაპირი გზით განხორციელება.

საუბარი მაქვს განვითარებულ ქვეყნებზე, სადაც არის ფარმაცევტული ბაზარი და არ ვსაუბრობ ბანანის რესპუბლიკებზე.

ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ ამ საკითხებზე, რომ პოლიტიკის საუკეთესო ვარიანტი შევარჩიოთ ამ კუთხით, როგორი უნდა იყოს ეს რეგულაცია კონკრეტულად ქართული ბაზრისა და ქართული სინამდვილისათვის.

ივნისში გვექნება უკვე ამ შესწავლის პირველი შედეგები, რომელსაც ჩვენს საერთაშორისო პარტნიორთან ერთად ვაკეთებთ. რთული თემაა და დრო სჭირდება.

# თაკო ჩარკვიანი: „ივანიშვილმა 100 საწარმოს მაგივრად ტროლების ქარხანა გააკეთა“

შორენა მარსაგიშვილი

მრავალპარტიულ საქართველოში კიდევ ერთი პარტია – „კანონი და სამართალი“ დაფუძნდა. პარტია თაკო ჩარკვიანმა დააფუძნა, რომელიც ბოლო თვეების განმავლობაში თავისი აქტიურობით ხელისუფლებასა და მის მოყვარულებს სერიოზულად უშლიდა ნერვებს.

პარტიის დაფუძნება თაკო ჩარკვიანმა საპრეზიდენტო არჩევნების დასრულების შემდეგ დააანონსა. მისმა პარტიამ პოლიტიკაში მოიყვანა მიხეილ რამიშვილი, რომელიც მამა გიორგი მამალაძის ადვოკატია.

ეტყობა, ხელისუფლებაში იაზრებენ, რომ თაკო ჩარკვიანი პარტიასთან ერთად მათ უფრო მწარედ მოუშლის ნერვებს, ამიტომაც გადაწყვიტეს, სანამ „კანონი და სამართალი“ დაარტყამდა, მათ თავად დაერტყათ „კანონისა და სამართლისთვის“.

ახალმა პარტიამ ამასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადებაც კი გაავრცელა. პარტიაში აცხადებენ, რომ ხელისუფლებისგან კონტროლირებადი მედია ცდილობს ახალ პარტიაზე და, ზოგადად, გაერთიანებულ ოპოზიციაზე ცრუ ინფორმაციის გავრცელებას.



პარტიის წევრების განმარტებით, პარტიის გუნდის წევრად იმ ადამიანებს ასაღებს, რომლებიც, შესაძლოა, პარტიის რიგითი წევრები არიან, მაგრამ პარტიის ბირთვს არ წარმოადგენენ.

– ზოგიერთი, კერძოდ, ხელისუფლებისგან კონტროლირებადი მედიასაშუალება ავრცელებს ცრუ ინფორმაციას პარტიის – „კანონისა და სამართლის“ გუნდის წევრების შესახებ. განვმარტავთ, რომ პარტიის გუნდი დღეს გამართულ დამფუძნებელ ყრილობაზე პარტიის თავმჯდომარე თამარ ჩარკვიანმა წარადგინა და ესენი არიან: ირაკლი ღლონტი, მიხეილ რამიშვილი, ქეთევან ენუქიძე, გიორგი ცობეხია, ვატო გელაშვილი, ოთარ გურგენიძე, თამარ პატარაია და მარი საველიძე.

შესაბამისად, თუ ვინმე გააკეთებს განცხადებას, რომ ის პარტიის გუნდის წევრია, ეს იქნება სიცრუე!

აქვე აღვნიშნავთ, რომ პარტიის წევრობა საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია.

ნიშანდობლივია, რომ პარტია „კანონისა და სამართლის“ დამფუძნებელმა ყრილობამ, რომელსაც ათასამდე ადამიანი ესწრებოდა, ხელისუფლება და მისი ბოტები დააპანიკა და ჩვეული მეთოდებით ამიტომაც ცდილობენ საზოგადოების შეცდომაში შეყვანას, მაგრამ „ყანდურ-ყანდიაშვილებს“ მეთოდები მოუძველდათ! – ვკითხულობთ პარტიის პირველ განცხადებაში.

განცხადება გააკეთა პარტიის თავმჯდომარემაც. თაკო ჩარკვიანის თქმით, ივანიშვილმა 100 საწარმოს მაგივრად ქვეყანაში ტროლების ქარხანა გააკეთა.

– ვინ იმისტი და ვინ ამისტი? რა სისულელეზეა ლაპარაკი? ეს აწყობს იმ ტროლების კლანს, რომელიც 12 ნომერში მოყუჩებულა თურმე და ჩვენი შვილების ფულით ხელფასები აქვთ დანიშნული. იმის მაგივრად, რომ 100 საწარმო გაკეთებულიყო, ტროლების ქარხანა გაკეთდა, ბატონებო, მხოლოდ იმიტომ, რომ ერთმანეთი ლანძღონ ადამიანებმა, დაშალონ ქვეყანა, ისევ დაგვაპირისპირონ, – აღნიშნა ჩარკვიანმა.

პარტიაში არ გაწევრიანებულა, მაგრამ მათ გვერდით დგომას აპირებს სპეცოპერაციისას მოკლული თემირლან მაჩალიკაშვილის მამა მალხაზ მაჩალიკაშვილი.

შვილმოკლული მამა პარტიის დამფუძნებელ ყრილობას დაესწრო და განცხადებაც გააკეთა. ის ამბობს, რომ იქნება ყველა იმ პარტიის მხარეს, რომლებიც დამნაშავეების დასჯას შეეცდებიან.

– მე მხარს ვუჭერ იმიტომ, რომ ჩემთვისაც და ქვეყნისთვისაც მისაღები პარტიაა. ძალიან კარგი, კეთილი და სამართლიანი ადამიანები არიან ჩარკვიანის ლიდერობით. ვიცნობ მათ. ნებისმიერ პარტიასთან ვითანამშრომლებ, რომელიც იქნება წესიერი და სამართლიანი, რომელიც შეეცდება, საქართველოში დამკვიდრდეს კანონი და სამართალი, რომელი პარტიაც შეეცდება, რომ დაისაჯოს ყველა ის ადამიანი, რომლებიც ჩადიოდნენ დანაშაულს ამ შვიდი წლის განმავლობაში, – განაცხადა მალხაზ მაჩალიკაშვილმა.

# ირაკლი იაშვილი: „როცა 2004–2012 წლებში ციხის კართან ვიდექი და ჩემი კომპანიები ჯვარზე იყო გაკრული, ნუგეშის „ესემესიც“ არავის გამოუგზავნია“

**ბიზნესმენი ირაკლი იაშვილი პოლიტიკური გაერთიანება „გირჩის“ განცხადებას სოციალურ ქსელში ეხმაურება.**

**„კომერსანტი“ მას უცვლელად გთავაზობთ:**

– რამდენიმე დღეა, რაც სოც. ქსელში ვისმენ და ვკითხულობ იმის თაობაზე, რომ ვარ შეშინებული, მლიქვნელი და ცეხავიკი ბიზნესმენი, რომელიც არ ვიღებ ხმას და არ ვამბობ, რომ ხელისუფლება ერჩის ჩემს ბიზნესს. ზოგიერთ პოსტს ჩემი სურათიც ახლდა სხვა კოლეგებთან ერთად და სწორად ამიტომ მსურს გაცნობოთ ჩემი პოზიცია.

27 წელი სრულდება წელს, რაც ვსაქმიანობ ამ ქვეყანაში. ამ წლების განმავლობაში ვმოქმედებდი და ახლაც ვმოქმედებ მთავარი პრინციპით, რომ არ შევიდე არანაირ გარიგებაში სახელმწიფოსთან. რაც ნიშნავს იმას, რომ არასოდეს მიმიღია მონაწილეობა სახელმწიფო ტენდერებში, შესყიდვებში და პრივატიზაციებშიც კი. ერთი თეთრის სარგებელიც კი არ მიმიღია და არც ვაპირებ რომ მივიღო სახელმწიფოსგან, სხვათა შორის, იმიტომაც, რომ სხვადასხვა უმწიფარი და შეუმდგარი ადამიანებისგან არ ვისმინო ის, რაც ამ დღეებში მოვისმინე ჩემზე.

2004 წლიდან დაიწყო არნახული შეტევა ჩემზე და ჩემს კომპანიებზე (მიზეზი კონკრეტული ჩემი ყოფნა მიშას ოპოზიციაში). 2004-2012 წლებში ვიდექი ციხის კარებთან (ოჯახის წევრის პატიმრობის გამო), კომპანიები კი ჯვარზე გაკრული იყო ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ამ სიტუაციაში არა თუ წყალი მოუწოდებია ვინმეს ჩემთვის, არამედ ნუგეშის „ესემესიც“ კი არ გამოუგზავნიათ.

ეშინოდათ და იმიტომ! და არც არავისთვის მითხოვია ამის გაკეთება, რადგანაც ასეთი საქციელი გმირობის ტოლფასი იყო მაშინ. იმ დროს კი გმირობას ვერავის მოვთხოვდი. ასე რომ, ახლა რომ გამოჩნდნენ უხვად ვაჟკაცი, პატრიოტი, ქვეყნის მომავალზე მზრუნველი მარიხუანით დაბოლილი გულშემატკივრები, ეს არის 2012 წლის დამსახურება, ოღონდ ობიექტურად ასეა. ვისაც რა მოგადგებათ ენაზე, იმას რომ ბოდავთ და ამისთვის არავინ არაფერს გერჩით. ერთი ხმა ამოგეღოთ მაშინ, როცა მართლა გვიჭირდა და ვნახავდი, სად იქნებოდით, ან საერთოდ იქნებოდით თუ არა!



პ.ს. რაც შეეხება მიმდინარე აურზაურს, აქ ჩემი კონკრეტული შეხედულება გამაჩნია და იმ ჩემს დაბოლილ ოპონენტს მივმართავ: როდესაც ცოტა მიგინელდება პლანის მოქმედება და ცოტათი ნათელი მოეფინება შენს გონებას, დამიკავშირდი და ამ მიმდინარე აჟიოტაჟთან დაკავშირებით ჩემს ვერსიას (სავარაუდოდ, სწორს) მოგიყვები! – წერს სოციალურ ქსელში ირაკლი იაშვილი.

**შეგახსენებთ, ქართული ბიზნესის წარმომადგენლებს რამდენიმე დღის წინ პოლიტიკურმა გაერთიანება „გირჩმა“ მიმართა:**

– თქვენ ხართ ჩვეულებრივი კრონი ბიზნესმენები, რომლებმაც მოახერხეთ სიმდიდრის დაგროვება სახელმწიფოსთან, სხვადასხვა ხელისუფლებებთან ჩახუტების და პრეფერენციების მიღების გზით. სახელმწიფოს, ხელისუფლებების მხარდაჭერის გარეშე, თქვენი ფასი როგორც ბიზნესმენების, არის ნული. თქვენ გაქვთ საბჭოთა „ცეხავიკის“ ფსიქოლოგია, რომელსაც არ გააჩნია საკუთრების განცდა და ღირსება, და თვლის, რომ მისი კეთილდღეობა დღეს პირდაპირპროპორციულია ამჟამინდელი კომპარტიის პირველი მდივნის მისდამი კეთილგანწყობის. სწორედ ასეთი მენტალიტეტის გამო, თქვენ ვერასოდეს გახდებით მართლა თავისუფალი ბიზნესმენები.

# იმერეთში დაცვის პოლიციის თანამშრომელი რატი მშვილდაძე დაჭრეს




დაცვის პოლიციის თანამშრომელი, შესაძლოა, ჩხუბის დროს დაჭრეს.

ბაღდათის რაიონის სოფელ ფერსათის მკვიდრი, 30 წლის რატი მშვილდაძე, ამჟამად ქუთაისის კლინიკურ საავადმყოფოში მკურნალობს. მისი თანასოფლელების ნაწილი ადასტურებს, რომ დაცვის პოლიციის თანამშრომელი კლინიკაში ნაცნობთან ურთიერთშელაპარაკების შედეგად დაიჭრა, თუმცა გავრცელებულ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს მშვილდაძის ოჯახი.

ანალოგიურ განცხადებას აკეთებენ შინაგან საქმეთა სამინისტროშიც, სადაც ამბობენ, რომ რატი მშვილდაძემ დაზიანება საკუთარ სახლში შემთხვევით მიიღო და დაპირისპირება არაფერ შუაშია.

– ჭრილობა იყო გულ-მკერდის ცენტრში, წინა მხრიდან, სისხლმდენი. დაზიანებული არ იყო ფილტვი, გული და ა.შ., ანუ შინაგანი ორგანოები მთელი იყო. სისხლდენის გამო გაუკეთდა ოპერაცია და სტაბილურადაა, – აცხადებს ექიმი ირაკლი გოგინავა.

# ომარ ხუხუასა და გელა ჯიქიას პატიმრობა შეეფარდათ



ზუგდიდში „ლიბერთი ბანკის" ინკასაციის დაყაჩაღებაში ბრალდებულ შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომელს ომარ ხუხუასა და მასთან ერთად დაკავებულ გელა ჯიქიას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.

გადაწყვეტილება ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ირაკლი აბშილავამ გამოაცხადა.

პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით სასამართლოს პროკურორმა მაია ჯაბუამ მიმართა.

თავად ბრალდებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ. სასამართლო პროცესში ისინი ადვოკატების გარეშე მონაწილეობდნენ, რადგან მათ თავად განაცხადეს დაცვაზე უარი.

ორივე დაკავებულს ბრალი 179-ე, 236-ე, 143-ე და 237-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში ედებათ, რაც ყაჩაღობას, იარაღის უკანონო ტარებას, თავისუფლების უკანონო აღკვეთას და იარაღის გატაცებას გულისხმობს. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში მათ 11-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

ყაჩაღობა ზუგდიდში 2 მარტს, დილის საათებში მოხდა.

## ბოლნისში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკების შეძენა-შენახვისთვის 1 პირი დააკავეს

შსს-ს თანამშრომლებმა, ბოლნისში ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1964 წელს დაბადებული რ.მ. დააკავეს.



ამის შესახებ ინფორმაციას შსს ავრცელებს, სადაც ნათქვამია, რომ დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, 14 შეკვრად დაფასოებული ჰეროინის შემცველი ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს," – ნათქვამია ინფორმაციაში.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს.

## ახალშენის კულტურის სახლის გაქურდვის ფაქტზე გამოძიება დაიწყო

ახალშენის კულტურის სახლის გაქურდვის ფაქტზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის" 177-ე მუხლით დაიწყო, რაც ქურდობას გულისხმობს.



მუხლი თავისუფლების აღკვეთას სამიდან შვიდ წლამდე ითვალისწინებს.

მოქალაქეების ინფორმაციით, ქურდობა 8 მარტს გვიან ღამით მოხდა, თუმცა რა ზარალი მიადგა ახალშენის კულტურის სახლს, უცნობია. მოქალაქეების თქმით, დაზიანებულია ინვენტარის მცირე ნაწილი.

## ბათუმში ახალგაზრდა კაცი დაჭრეს

ბათუმში ცეცხლსასროლი იარაღით ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს. დაშავებული ბათუმის ერთ-ერთ საავადმყოფოშია გადაყვანილი.




თვითმხილველების ინფორმაციით, მამაკაცი ფეხის არეში არის დაჭრილი და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

მომხდარის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია.

ადგილზე ნაპოვნია მსუბუქი ავტომანქანა, რომელსაც ცეცხლსასროლი იარაღის კვალი ეტყობოდა.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის მუხლით მიმდინარეობს.

## კახეთის პოლიციამ 1 პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის საგარეჯოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ქურდობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით 1975 წელს დაბადებული ე.ა. დააკავეს.



როგორც „ინტერპრესნიუსს" შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, გამოძიებამ დაადგინა, რომ ე.ა. ღამით, საგარეჯოს რაიონის სოფელ ქეშალოში ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში შევიდა, საიდანაც 500 ლარის ღირებულების ოქროს სამკაულები და ბიჟუტერია მოიპარა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ე.ა.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ნაქურდალი ნივთების ნაწილი, ასევე, კალაშნიკოვის კონსტრუქციის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 21 ცალი საბრძოლო ვაზნა და 2 ცალი ხელყუმბარა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება ქურდობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტებზე მიმდინარეობს, სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და მე-3 ნაწილის „გ" ქვეპუნქტებით და 236-ე მუხლით.

## თბილისის მერიის საწყობი გაძარცვეს

თბილისის მერიის საწყობი, სადაც მოქალაქეების პირადი ნივთები, ავეჯი და ტექნიკა ინახებოდა, გაძარცვეს.

მომხდარის შედეგად დაზარალდა ის 5 ოჯახი, რომლებიც მერიამ, თუმანიანის ქუჩაზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, საკუთარი სახლებიდან ქირით გაიყვანა, ნივთები კი დედაქალაქის მერიის საწყობში შეინახა.

საცავში მისულებს საწყობი გაძარცვული დახვდათ, შენობაში კი იძულებით გადაადგილებული პირები დახვდნენ:

– უნდა დასრულებულიყო 2013 წელს, 2012 წელს გაგვასახლეს, 10 დღე მეძინა სიონის ბაღში, სანამ ბინას ქირით ვიშოვიდი. გაძარცვულია ყველაფერი. ლტოლვილები შეუშვიათ. რომ ვკითხეთ, ვინ შემოგიშვათო, გამგეობამ შემოგვიშვაო, – განაცხადადა დაზარალებულმა ნოდარ ალადაშვილმა.

## ხანძარი პრობაციის ეროვნულ სააგენტოში

### არავინ დაშავებულა

9 მარტს, საღამოს, ყაზბეგის გამზირზე 2 სახანძრო მანქანა იყო მობილიზებული. ცეცხლი პრობაციის ეროვნული სააგენტოში, მეხუთე სართულზე მდებარე ერთ-ერთ ოთახში გაჩნდა.

ოთახში ამ დროს არავინ იმყოფებოდა. ცეცხლი არ გავრცელებულა და ხანძრის ლიკვიდაცია მალევე მოხერხდა.

ხანძარი კონდიციონერიდან გაჩნდა. ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა.

## პოლიციამ ქუთაისში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტისა და ქუთაისის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, წარსულში ნასამართლევი 2 პირი: 1980 წელს დაბადებული ტ. გ. და 1986 წელს დაბადებული ი. ლ. ქუთაისში დააკავეს. დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.



როგორც „ინტერპრესნიუსს" შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, პოლიციამ, ტ.გ.-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 9 საბრძოლო ვაზნა ამოიღო. ი.კ.-ს პირადი ჩხრეკისას კი ნივთმტკიცებად ამოღებულია ცეცხლსასროლი პისტოლეტი, მჭიდი და 6 საბრძოლო ვაზნა.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

## რუსთავის მიკროავტობუსში მგზავრმა გონება დაკარგა და გაშავდა

რუსთავში, მეგობრობის გამზირზე მოძრავ სამგზავრო მიკროავტობუსში 40 წლამდე მამაკაცი მოულოდნელად შეუძლოდ გახდა და გონება დაკარგა.




გონწასული მამაკაცი გზაზე, ბორდიურზე დასვეს და ეცადნენ მის გონზე მოყვანას, თუმცა უშედეგოდ, რის შემდეგაც ადგილზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟი გამოიძახეს.

თვითმხილველები „ინფო რუსთავთან" აცხადებდნენ, რომ მამაკაცს, სავარაუდოდ, ნარკოტიკული ნივთიერება ჰქონდა მიღებული, დიდი დოზის გამო გონება დაკარგა და გაშავდა.

ტერიტორიაზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟთან ერთად ასევე მივიდა საპატრულო პოლიცია.

პაციენტს ექიმებმა ადგილზე გაუწიეს დახმარება, გონზე მოსვლის შემდეგ კი მან საავადმყოფოში გადაყვანაზე უარი განაცხადა.

შსს-ში „ინფო რუსთავს" განუცხადეს, რომ მამაკაცი მგზავრობის დროს შეუძლოდ გახდა, მას სამედიცინო დახმარება გაეწია და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

## დედაზე ძალადობისთვის ბათუმში 1 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ოჯახში ძალადობის ბრალდებით, 1979 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი შ.ს. ბათუმში დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა დედას – 1948 წელს დაბადებულ რ.ს.-ს, მათსავე საცხოვრებელ სახლში, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

გამოძიება ოჯახში ძალადობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 126-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

## ავარია ვახუშტის ხიდთან

### დაიღუპა 1, დაშავდა 3 პირი

8 მარტს ღამით უბედური შემთხვევა მოხდა თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე – ავარიას ვახუშტის ხიდთან 1 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. შეჯახების შედეგად 3-მა ადამიანმა სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღო.

მომხდარზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნილბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ეთიოპიაში ბოინგ 737 ჩამოვარდა

## საჰაერო ტრაგედიების დღე

გუშინ, 10 მარტს, მსოფლიოში რამდენიმე ავიაკატასტროფა და საჰაერო ინციდენტი მოხდა.

ყველაზე მასშტაბური ტრაგედია ეთიოპიაში დატრიალდა, სადაც კომპანია „ეთიოპიან ეირლაინზის“ სამგზავრო თვითმფრინავმა კატასტროფა განიცადა.




ბოინგ 737 ადის-აბებას აეროპორტიდან აფრენიდან 6 წუთში ჩამოვარდა. ბორტზე 149 მგზავრი და ეკიპაჟის 8 წევრი იმყოფებოდა. ყველა მათგანი დაიღუპა.

დაღუპულები 33 ქვეყნის მოქალაქეები არიან. მათ შორის რუსეთის 3 მოქალაქეა. ლაინერი რეისს კენიის დედაქალაქ ნაირობის მიმართულებით ასრულებდა.

ავიაკატასტროფის გამომწვევი მიზეზი ჯერჯერობით დაუდგენელია. ტრაგედიის შესახებ ეთიოპიის პრემიერ-მინისტრისგან გახდა ცნობილი, რომელმაც ტვიტერის ქსელში სამძიმარი გამოაქვეყნა.

ავიაკატასტროფა მოხდა კოლუმბიაშიც.

შემთხვევა ქვეყნის ცენტრალურ რეგიონში ავარიული დაშვების მცდელობის დროს მოხდა. თვითმფრინავის ბორტზე 14 ადამიანი იმყოფებოდა. კატასტროფას ვერც ერთი მათგანი ვერ გადაურჩა.

ცნობილია, რომ დაღუპულთა შორის ერთ-ერთი ქალაქის მერიც არის. რატომ მიიღო პილოტმა ავარიული დაშვების გადაწყვეტილება, ჯერჯერობით უცნობია.

თვითმფრინავი რეისს ქალაქ სან ხოსე დელგუა ვიარედან ვილა ვიცენსიოში ასრულებდა.

ავიაკომპანია „თურქიშ ეირლაინზის“ თვითმფრინავი ჩამოვარდნას, საბედნიეროდ, გადაურჩა. სტურბულენტურ ზონაში მოხვედრის გამო ბორტზე მყოფი 30 მგზავრი დაშავდა. მათ სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღეს.



სამგზავრო ლაინერი, რომელიც რეისს სტამბოლიდან ნიუ იორკის მიმართულებით ასრულებდა, ჯონ კენედის აეროპორტში მშვიდობიანად დაფრინდა.

დაშავებულები ადგილობრივ საავადმყოფოებში გადაანაწილეს. მგზავრების უმრავლესობას დაჟეჟილობა, მსუბუქი მოტეხილობები და ჭრილობები ჰქონდა.

თვითმფრინავი ტურბულენტურ ზონაში მაშინ მოყვა, როდესაც ის ნიუ იორკს მიუახლოვდა.

# აირჩევენ თუ არა ტრამპს მეორედ?!



2020 წელს ამერიკა ახალ პრეზიდენტს აირჩევს.

ამერიკული მედია მკვეთრად ანტიტრამპულია. ეს, უწინარეს ყოვლისა, პრეზიდენტის გარშემო აზვირთებულმა სკანდალებმა განაპირობა. ტრამპის საარჩევნო შტაბის უფროსი პოლ მანაფორტიც სასამართლომ დამნაშავედ ცნო და ოთხი წლით პატიმრობა მიუსაჯა.

მიუხედავად ამისა, ტრამპს მეორედ არჩევის რეალური შანსები აქვს.

– ამას რიგი ფაქტორი განაპირობებენ, – მიიჩნევს ამერიკელი ექსპერტი, კონსერვატორი ბროუს ტორნტონი.

ექსპერტი ყურადღებას ამახვილებს ისეთ ფაქტორზე, როგორიცაა ეკონომიკა. ხელისუფლებაში ტრამპის მოსვლის შემდეგ უმუშევრობა ერთიორად შემცირდა, ამერიკულმა ეკონომიკამ კი დიდი ნახტომი გააკეთა. ეს მოსახლეობის კეთილდღეობაზეც აისახა.

– ხალხი, განსაკუთრებით უბრალო ხალხი, ტრამპით კმაყოფილია, – მიიჩნევს ტორნტონი.

მეორე არანაკლებ სერიოზული ფაქტორი ის არის, რომ ტრამპი ტრადიციულ ღირებულებებს იცავს. ამერიკელებისთვის ეს გაცილებით მისაღებია, ვიდრე რიგი ფსევდოლიბერალური ფასეულობები (თავისუფალი სიყვარული და ა.შ). ტორნტონი პარალელს 1972-79 წლებთან აკეთებს. მაშინ რესპუბლიკელებმა დემოკრატებს გამანადგურებელი დარტყმა აგემეს. ჯერ რიჩარდ ნიქსონმა დაამარცხა თავისი ოპონენტი დემოკრატიული პარტიიდან, შემდეგ რონალდ რეიგანმა ასევე დამაჯერებლად გაიმარჯვა.

– დღეს ამერიკაში რესპუბლიკელების დომინირების ხანაა, – მიიჩნევს ტრონტონი.

მესამე ფაქტორია ის, რომ ტრამპს ღირსეული ოპონენტი არ ჰყავს. დემოკრატები, სავარაუდოდ, მას სანდერსს დაუპირისპირებენ. ამ უკანასკნელის მემარცხენე-ლიბერალური შეხედულებები და სოციალისტური ფრაზეოლოგია აშშ-ის საშუალო ფენას აფრთხობს. დემოკრატების მეორე ლიდერი ბაიდენი უკვე ხნიერია და ფართო მასების მიერ ლიდერად ვერ აღიქმება.

– ვერც ბაიდენი და ვერც სანდერსი ტრამპს კონკურენციას ვერ გაუწევენ, – მიიჩნევს ტორნტონი.

ყველაფერმა ამან პრეზიდენტის მაღალი რეიტინგი განაპირობა. დღეს ტრამპს მხარს 46% უჭერს. რიგ შტატში მის მხარდამჭერთა რაოდენობამ უკვე 50%-ს გადააჭარბა. ბარაქ ობამასა და ბილ კლინტონს თავის დროზე ამაზე ნაკლები მხარდაჭერა ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, არჩევნებში მათ დამაჯერებლად გაიმარჯვეს.

– ტრამპსაც გამარჯვების რეალური შანსები გააჩნია, – მიიჩნევს ტორნტონი.

ასეთ მოსაზრებას სხვა ექსპერტებიც იზიარებენ.

ისინი ხაზს უსვამენ, რომ ტრამპის მმართველობისას აშშ-ის ეკონომიკა განვითარდა, საგარეო პოლიტიკაში კი პოზიციების დათმობას არ ჰქონია ადგილი. ტრამპი რუსების მიმართ ბევრად ხისტი გამოდგა, ვიდრე ობამა ან ჯორჯ ბუშუმცროსიც კი.

ექსპერტ ნაიტის აზრით, რუსეთთან დაძაბული ურთიერთობები და ახალი ცივი ომი განაპირობებს იმას, რომ ამერიკელებს არჩევანი აღარ დარჩათ. ტრამპი თავისი ტლანქი მანერებით ერთადერთია, რომელიც პუტინს უკან დაახევინებს. ამან პრეზიდენტის მყარი პოზიციაც განაპირობა. თუ დღეს არჩევნები ჩატარდება, ტრამპი ბევრად უფრო დამაჯერებლად გაიმარჯვებს, ვიდრე წინა არჩევნებისას.

# შეტაკებები ვენესუელაში



ვენესუელაში ელექტროენერგიის მწვავე დეფიციტია. დენის ხშირად გათიშვას მოსახლეობა კარგა ხანია შეეჩვია, მაგრამ ამჟამინდელმა დეფიციტმა ყველაფერს გადააჭარბა.

ქვეყნის ნახევარზე მეტი ჩაბნელებულია, ინტერნეტი და მობილური კავშირები გათიშულია. დენის უკმარისობის გამო ვერ კეთდება სამედიცინო ოპერაციები. ამას უკვე მსხვერპლი მოჰყვა. კარაკასის საავადმყოფოში 2 ბავშვი გარდაიცვალა

პრეზიდენტმა მადურომ შექმნილ სიტუაციაში „ამერიკული იმპერიალიზმი“ დაადანაშაულა. მან განაცხადა, რომ აშშ-ის მთავრობას ვენესუელის ხელისუფლებაში თავისი მარიონეტის გუაიდოს მოყვანა სურს.

– ენერგოკრიზისი მადუროს მთავრობის უნიათობისა და უპასუხისმგებლობის გამო შეიქმნა! – ამტკიცებს გუაიდო.

უმძიმესმა სოციალურმა ფონმა პოლიტიკური ვითარება დაძაბა. კარაკასის მოსახლეობა ქუჩაში გამოვიდა. პოლიციამ მათი დაშლა ცადა, მაგრამ ამაოდ.

პოლიციელებსა და მოსახლეობას შორის მოხდა შეტაკება. შედეგად პოლიციელებმა მოედანი დატოვეს.

მმართველმა სოციალისტურმა პარტიამ, რომელიც პრეზიდენტ მადუროს უჭერს მხარს, თავის მომხრეებს ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდა.

– ამერიკის აგენტურა ვენესუელის ხელისუფლებაში მოსვლას ცდილობს! მოგიწოდებთ, სამშობლო დაიცვათ! – ნათქვამია მიმართვაში.

ამრიგად, მადუროს მომხრეებმა ვენესუელის საზოგადოების ერთი ნაწილის მეორისთვის დაპირისპირება ცადეს. ვნებათაღელვა ძლიერდება.

# შერემეტიევოში ამერიკელი დიპლომატი დააკავეს



მოსკოვის შერემეტიევოს აეროპორტში ამერიკელი დიპლომატი დააკავეს. მას ცარიელი ნაღმი აღმოაჩნდა. ნაღმი ვერ აფეთქდებოდა, რადგან სათანადო ასაფეთქებელი მოწყობილობა არ გააჩნდა. მიუხედავად ამისა, დიპლომატი დაკავებულ იქნა, ნაღმი კი, როგორც დანაშაულის დამამტკიცებელი საბუთი, ჩამოერთვა.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მომხდართან დაკავშირებით პროტესტი გამოთქვა და ამერიკელი დაადანაშაულა. საქმეში ამერიკის საელჩოს ჩარევის შემდეგ დიპლომატი გაათავისუფლეს, თუმცა ნაღმი არ დაუბრუნეს.

ნიუ იორკში დიპლომატი ნაღმის გარეშე დაბრუნდა.

# სტამბოლი: პოლიციამ ფემინისტების აქცია დაარბია

სტამბოლში პოლიციამ ქალთა მოძრაობა „ფემინის“ აქცია დაარბია.

პოლიციამ ქალაქის მთავარი მოედანი ჩახერგა. მიუხედავად ამისა, აქციის რამდენიმე მონაწილემ მოედანზე შეღწევა მაინც მოახერხა და აქციის გამართვა ცადა.

პოლიციამ პასუხად ცრემლმდენი გაზი გამოიყენა. აქცია დაიშალა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**


# განცხადებები

### სხვადასხვა

● ჯადოს, თვალის, წყევლის, ფინანსური ბლოკების, ჩაკეტილი ბედის დადგენა-მოხსნა, უძლიერესი თილისმები, მათ შორის „ოქროს დაცვა“, ასევე სახლისა და ოფისების ენერგეტიკული გაწმენდა. ტელ: 568-76-26-40.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ალკოჰოლიზმის პრობლემების მოშორება მცენარეული, უვნებელი პროდუქციით (თუნდაც საკვებში შერევით ფარულად), ფსიქოლოგიური, ლოცვითი და მცენარეული (ნაკურთხი) თერაპიით სხვადასხვა ქრონიკული დაავადებების მართვა-მკურნალობა (კუჭ-ნაწლავის, ნერვული და სხვა დაავადებები). ტელ: 599-45-66-88. ფსიქოლოგი, თერაპევტი ნინო ექიმი.

● მონასტრის ბერის მიერ მოწოდებული რეცეპტებით მცენარეული, არომატული და საკმევლის ზეთზე დამზადებული მალამოებით კანის პრობლემების მკურნალობა, ფსორიაზი, აკნე, ტროპიკული წყლული, ნეიროდერმიტი და სხვა, აგრეთვე კოსმეტიკური სამკურნალო სახის კანის მალამოები (ნაოჭების, მკვებავი და სხვა). ტელ: 599-45-88-66. ნინო ექიმი.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● მკურნალობამამაკაცებისათვის:პროსტატიტი,ადენომა,ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ქუთაისს ლიდერობაში მეტოქეები ეხმარებიან

**შსს აკადემია ტიტები-ქუთაისი 66:75**
**(14:22, 17:19, 23:14, 12:20)**

სუპერლიგის ლიდერმა ქუთაისმა მორიგი მატჩი მოიგო. კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა კლუბმა შსს აკადემია-ტიტებს სძლია – 75:66.

არადა, მატჩის დასრულებამდე 2 წუთით ადრე ლაშა გამყრელიძის გაწვრთნილი „ტიტები" 66:65 იგებდნენ და გამარჯვებასთანაც ახლოს იყვნენ, თუმცა შეხვედრის დარჩენილ დროში ქუთაისელებმა 10:0 იძალეს და საბოლოოდ გამარჯვებას მიაღწიეს.

მანამდე კი, მატჩის უმეტეს დროს ქუთაისელები იგებდნენ. პირველი და მეორე პერიოდები იმერულმა კლუბმა მოიგო და დიდი შესვენებისთვის 10 ქულით – 41:31 დაწინაურდა. მესამე მეოთხედში ილია ლონდარიძის აქტიურობამ შედეგი გამოიღო და ჩამორჩენილმა ტიტებმა ათწუთეულის 23:14 მოგებით ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირეს, რომელიც ბოლო პერიოდში ლიდერობად აქციეს – 59:57.

როდესაც ქუთაისი წაგების რეალური საფრთხის წინაშე დადგა, ბოლო წუთებზე არსებული კრიტიკული მომენტი გადაიტანა. იმერლებმა დაცვითი თამაშისა და შეტევაში სიზუსტის წყალობით შეხვედრის დასკვნითი მონაკვეთი 10:0 მოიგეს და საბოლოოდ გამარჯვებას მიაღწიეს – 75:66.

ქუთაისში საუკეთესო შედეგი აკაკი დვალიშვილმა დააფიქსირა, რომელმაც 14 ქულა და 10 მოხსნა მიითვალა. 15 ქულა მოაგროვა დეჟან რაითმა, ხოლო 12 – დავით ლომიძემ. ტიტებში 22 ქულით საუკეთესო ილია ლონდარიძე იყო, ხოლო კაშიმ რენსომის ანგარიშზე 15 ქულა დაგროვდა.

**დინამო-მგზავრები 71:88**
**(19:20, 16:22, 11:32, 25:14)**

უთანასწორო ბრძოლაში მგზავრებმა დინამო 88:71 დაამარცხა. მატჩი ვერ გამოდგა ისეთი საინტერესო, როგორიც სატურნირო ვითარებიდან ჩანდა. 8 მოგებითა და 3 მარცხით დინამოელები მეორე ადგილზე იყვნენ, ხოლო მგზავრები (7 მოგება, 4 მარცხი) საფეხურით ჩამორჩებოდნენ.



მატჩის დასაწყისი არ მიანიშნებდა იმაზე, რომ ბოლო პერიოდს აზრი დაეკარგებოდა. თანაბარ, ორმხრივ ბრძოლაში გალეული საწყისი ათწუთეული მგზავრებმა ქულით – 20:19 მოიგეს. მეორე მეოთხედიც თანაბრად დაიწყო, რომლის დასკვნით წუთებზე სისწრაფისა და ზუსტი სროლების ხარჯზე ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილმა გუნდმა უპირატესობა მოიპოვა. ადრიან ბოუის წინამძღოლობით მგზავრებმა დიდი შესვენებისთვის ხელჩასაჭიდი უპირატესობა მოიპოვა – 42:35.

მატჩის ბედი მესამე პერიოდშივე გადაწყდა. დინამოს შეტევაში საქმე არ მისდიოდა – მგზავრების დაცვა საკმაოდ მედგრად და მობილურად თამაშობდა. მათმა ლეგიონერებმა და კახა ჯინჭარაძემ კი გუნდს იმდენი ქულა მიუთვალეს, რომ მესამე პერიოდის ბოლოს მატჩის ბედი გაირკვა. 32:11 მოგებული მეოთხედის შემდეგ, ბოლო ათწუთეულის წინ ბუბა ბერიშვილის გუნდი 28 ქულით – 74:46 დაწინაურდა.

ბოლო პერიოდში სარბიელი ძირითადად ახალგაზრდა, სათადარიგო მოთამაშეებს დაეთმოთ და მატჩი მშვიდ ვითარებაში ჩამთავრდა.

მგზავრებმა საბოლოოდ 17 ქულით გაიმარჯვა, რაშიც ლომის წილი კახა ჯინჭარაძემ და ადრიან ბოუიმ დაიდეს. ჯინჭარაძემ 20 ქულა, 14 მოხსნა, 4 პასი და 4 ჩაჭრა მოაგროვა, ბოუი კი 27 ქულით, 8 პასით, 5 მოხსნითა და 4 ჩაჭრით გამოირჩა. დინამოში საუკეთესო იყო დემაგოი ბუბალო – 22 ქულა და 9 მოხსნა. რეჯერ დოუელმა კი შეხვედრა 16 ქულითა და 8 მოხსნით დაასრულა.

**თსუ ჰიუნდაი-რუსთავი 77:65**
**(22:18, 20:12, 21:18, 14:17)**

თსუ-ჰიუნდაიმ აუტსაიდერ რუსთავთან დაგეგმილი გამარჯვება მოიპოვა, ქვემოქართლურ გუნდს კი ამ წაგებით საქმე უფრო გაურთულდა. რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე 7 ტურით ადრე ბოლო ადგილზე მყოფ რუსთავსა და მის წინ მყოფ გუნდებს შორის სხვაობა 3 ქულამდე გაიზარდა. ეს სხვაობის გაბათილება კი დარჩენილ ტურებში ფაქტობრივად გმირობის ტოლფასია, თუმცა ქვემოქართლელების თამაშის გათვალისწინებით, მათ ამის გაკეთების რესურსი არ გააჩნიათ.

რუსთაველებმა ეს მატჩიც ისე წააგეს, წარმატების შანსი არ მისცემიათ. მართალია, საბოლოოდ დიდი სხვაობა არ დაფიქსირებულა, თუმცა თამაშის სცენარს მუდმივად თსუ-ჰიუნდაი კარნახობდა, რომელმაც დამსახურებული, რიგით მე-7 გამარჯვება მოიპოვა.

პირველ პერიოდში მეტნაკლებად თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა. რუსთაველებმა საწყისი პერიოდი მხოლოდ 4 ქულით დათმეს, ხოლო მეორე ათწუთეულიდან თსუ-ჰიუნდაელთა უპირატესობა აშკარა გახდა – 20:12 მოგებული ათწუთეულის შემდეგ ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილი გუნდი 1 ქულით დაწინაურდა, ხოლო დიდი შესვენების შემდეგ ეს ლიდერობა ზედმეტი პრობლემების გარეშე შეინარჩუნა.

შეხვედრა საბოლოოდ თსუ-ჰიუნდაელთა სასარგებლოდ – 77:65 დასრულდა.

საუკეთესო შედეგი სანდრო სანაძემ დააფიქსირა, რომელმაც 15 ქულა, 5 მოხსნა, 5 პასი და 3 ჩაჭრა მოაგროვა. 13 ქულა მიითვალა მარკუს პოზლიმ, ალექსანდრე ფევაძის ანგარიშზე კი 12 ქულა დაგროვდა. რუსთავში 21 ქულითა და 12 მოხსნით მარკუს ბენქსი გამოირჩა, კენდარიუს ჰამილტონმა და აჰმედ მოავადმა კი 17-17 ქულა მოაგროვეს.

**ბათუმი-ოლიმპი 69:61**
**(16:23, 17:20, 20:10, 16:8)**

აჭარული კლუბი, რომელიც ბოლოსწინა ადგილზე იმყოფებოდა, სუპერლიგაში დასარჩენად იბრძვის და მისთვის თითოეულ მატჩს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ზღვისპირეთს ამჯერად ოლიმპი ესტუმრა – გუნდი, რომელსაც 11 ტურის შემდეგ 6 გამარჯვება ჰქონდა და ცხრილის ზედა ნახევარში თავს კომფორტულად გრძნობდა.

მატჩი საკმაოდ საინტერესო, სანახაობრივი და დაძაბული გამოდგა. დარბაზში მისულმა გულშემატკივარმა ნამდვილი ბრძოლა იხილა და მატჩის ბოლოს გაიხარა კიდეც. ბათუმელებმა საკუთარი გუნდის გამარჯვება იზეიმეს, რომელიც მეორე პერიოდში 16 ქულით აგებდა, ხოლო დიდი შესვენებისთვის 10 ქულით – 33:43 ჩამორჩებოდა.

გია კაზანჯიანის გაწვრთნილმა ბათუმელებმა მეორე ნახევარში დიდებულად ითამაშეს. მოედანზე მყოფი ყველა მოთამაშე ჩინებულად გაისარჯა. ბათუმელებმა მესამე პერიოდი 10 ქულის სხვაობით მოიგეს და ბოლო მეოთხედის წინ ანგარიში გაათანაბრეს – 53:53.

მატჩის ბედი ბოლო პერიოდში მასპინძელთა სასარგებლოდ გადაწყდა. ამერიკელმა უკანახაზელმა კეისი შეპარდმა სამმაგი დუბლი მიითვალა, რომელიც მოედანზე მთავარი შემოქმედი იყო. აღსანიშნავია ბათუმის კალათბურთელთა გუნდური თამაში, რის საფუძველზეც მასპინძლებმა შეხვედრის დასკვნით წუთებში დიმიტრი ჯაკობოვის გაწვრთნილ ოლიმპელებს თამაშის შემობრუნების შანსი არ მისცეს. აჭარულმა კლუბმა საბოლოოდ 69:61 მოიგო და სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესა.

ბათუმში 18 ქულით ბომბარდირი სპენსერ კოლინსი გახდა, თუმცა საერთო სარგებლიანობით საუკეთესო კეისი შეპარდი გახლდათ – 10 ქულა, 13 მოხსნა, 12 პასი. 16 ქულა და 9 მოხსნა მიითვალა სტეფან ანდრეევიჩმა. ოლიმპში 13-13 ქულით რეჯი ბეიკერი და მარკ ოგდენი გამოირჩნენ. ამ უკანასკნელს 12 მოხსნაც ჰქონდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ქუთაისი | 12 | 10 | 2 | 1001:924 | 22 |
| 2.მგზავრები | 12 | 8 | 4 | 977:898 | 20 |
| 3.დინამო | 12 | 8 | 4 | 905:873 | 20 |
| 4.დელტა | 12 | 8 | 4 | 941:849 | 20 |
| 5.თსუ-ჰიუნდაი | 12 | 7 | 5 | 964:952 | 19 |
| 6.ოლიმპი | 12 | 6 | 6 | 970:925 | 18 |
| 7.ტიტები | 12 | 4 | 8 | 927:983 | 16 |
| 8.კაქტუსი | 12 | 4 | 8 | 943:1036 | 16 |
| 9.ბათუმი | 12 | 4 | 8 | 913:984 | 16 |
| 10.რუსთავი | 12 | 1 | 11 | 869:986 | 13 |

## რეალის გასახდელში დაძაბულობაა



როგორც ესპანური მედია წერს, რეალის მთავარი მწვრთნელის პოსტზე სანტიაგო სოლარის დღეები დათვლილია. თუმცა, ამას ესპანური პრესა რად უნდა, როდესაც ყველაფერი ნათელია. სავარაუდოდ, სოლარი კიდევ ერთ შეხვედრაში გაიყვანს რეალს მოედანზე. თუმცა, ესპანელები იმასაც წერენ, რომ, შესაძლოა, სეზონის ბოლომდე დატოვონ. ერთი რამ ცხადია, ზაფხულში რეალს აუცილებლად ახალი მწვრთნელი ეყოლება.

თუმცა, მთავარი ამბავი ეს არ არის – სკანდალი გასახდელში გაგრძელდა, სადაც ერთმანეთს კლუბის პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი და კაპიტანი სერხიო რამოსი დაუპირისპირდნენ.

პერესს ყველაფერი ფეხბურთელებისთვის დაუბრალებია, რასაც რამოსი შეპასუხებია და უთქვია, რომ ფიასკო არა მხოლოდ მხოლოდ ფეხბურთელების, არამედ ხელმძღვანელების ბრალიცაა. პირველ რიგში კრიშტიანუ რონალდუს ღირსეული შემცვლელის ვერპოვნის გამო გააკრიტიკა. ამაზე უკვე პერესი გაცეცხლებულა და კაპიტანს გუნდიდან გაგდებით დამუქრებია. ამაზე უკვე რამოსს გასცინებია და ის მომეცი, რაც მე გუნდს მივეცი და წავალო.

რამოსს რეალში უდიდესი ავტორიტეტი აქვს და კლუბის ფანებს განსაკუთრებით უყვართ. პერესი ვერ მისცემს საკუთარ თავს იმის უფლებას, რომ რამოსი გუნდიდან გაუშვას.

პარასკევის გამოცემებში იმასაც წერდნენ, რომ ამ ფაქტის შემდეგ კაპიტანი და პრეზიდენტი ერთმანეთს შეხვდნენ და გასახდელში მომხდარი დაპირისპირება ცივი გონებით გააანალიზეს. რეალისთვის რომ ეს სეზონი უკვე ჩაგდებულია, ნათელია. მადრიდელებმა ერთ კვირაში დაკარგეს რომელიმე ტიტულის მოგების ყველა შანსი.

რამოსმა საკუთარი ავტორიტეტი გამოიყენა და გუნდი მწვრთნელის გარეშე შეკრიბა, სადაც თანაგუნდელებს დიდხანს ესაუბრებოდა. როგორც ესპანელები წერენ, სიტყვა მხოლოდ ერთხელ შეაწყვეტინეს და ეს ისკომ გააკეთა. ისკომ ბოდიში მოიხადა იმის გამო, რომ აიაქსთან მატჩის განაცხადში ვერმოხვედრილმა გუნდთან ერთად მგზავრობაზე უარი თქვა და „სანტიაგო ბერნაბეუზე" ცალკე მივიდა.

## ბაიერნი გალიდერდა, ლევანდოვსკი რეკორდსმენია



გერმანიის ბუნდესლიგის 25-ე ტურში მიუნხენის ბაიერნმა ცხრილში ჩვეული ადგილი დაიბრუნა. ბავარიელებმა „ალიანც არენაზე" ვოლფსბურგს უმასპინძლეს და 6:0 გაანადგურეს. რამდენიმე ტურის წინ ეს შეუძლებელი ჩანდა, თუმცა ნიკო კოვაჩის გუნდს ამაში დორტმუნდიც წაეხმარა, რომელმაც ბლომად ანიავა ქულები.

„მგლებთან" რობერტ ლევანდოვსკიმ დუბლი შეასრულა, რის შემდეგაც პოლონელს ბუნდესლიგაში 196-ე გოლი გაიტანა, რაც არაგერმანელისთვის რეკორდია. ასევე აღსანიშნავია ფრანკ რიბერის 3 საგოლე პასი. არადა, ფრანგი მოედანზე მხოლოდ 55-ე წუთზე შევიდა.

25 ტურის შემდეგ ბაიერნი 57 ქულით ლიდერია. მართალია, დორტმუნდს, რომელმაც შინ შტუტგარტი 3:1 დაამარცხა, ამდენივე ქულა აქვს, მაგრამ ბურთების უარესი სხვაობის გამო ჩამორჩება.

# შედეგები

**ფეხბურთი**

### ინგლისი. პრემიერლიგა

კრ.პალასი-ბრაიტონი ........ 1:2
კარდიფი-ვესტ ჰემი ........ 2:0
ლესტერი-ფულემი ........ 3:1
ნიუკასლი-ევერტონი ........ 3:2
საუთჰემპტონი-ტოტენჰემი ........ 2:1
ჰადერსფილდი-ბორნმუთი ........ 0:2
სიტი-უოტფორდი ........ 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 30 | 24 | 2 | 4 | 79-21 | 74 |
| 2.ლივერპული | 29 | 21 | 7 | 1 | 64-15 | 70 |
| 3.ტოტენჰემი | 30 | 20 | 1 | 9 | 57-32 | 61 |
| 4.მანჩესტერი | 29 | 17 | 7 | 5 | 58-38 | 58 |
| 5.არსენალი | 29 | 17 | 6 | 6 | 61-39 | 57 |
| 6.ჩელსი | 28 | 17 | 5 | 6 | 49-30 | 56 |
| 7.ვულვზი | 29 | 12 | 7 | 10 | 37-35 | 43 |
| 8.უოტფორდი | 30 | 12 | 7 | 11 | 42-44 | 43 |
| 9.ვესტ ჰემი | 30 | 11 | 6 | 13 | 37-43 | 39 |
| 10.ლესტერი | 30 | 11 | 5 | 14 | 38-42 | 38 |
| 11.ევერტონი | 30 | 10 | 7 | 13 | 41-42 | 37 |
| 12.ბორნმუთი | 30 | 11 | 4 | 15 | 41-54 | 37 |
| 13.ნიუკასლი | 30 | 9 | 7 | 14 | 29-38 | 34 |
| 14.კრ.პალასი | 30 | 9 | 6 | 15 | 36-41 | 33 |
| 15.ბრაიტონი | 29 | 9 | 6 | 14 | 32-42 | 33 |
| 16.ბარნლი | 29 | 8 | 6 | 15 | 32-53 | 30 |
| 17.საუთჰემპტონი | 30 | 7 | 9 | 14 | 34-50 | 30 |
| 18.კარდიფი | 30 | 8 | 4 | 18 | 27-57 | 28 |
| 19.ფულემი | 30 | 4 | 5 | 21 | 28-68 | 17 |
| 20.ჰადერსფილდი | 30 | 3 | 5 | 22 | 15-53 | 14 |

### ინგლისი. ჩემპიონლიგა

ბლექბერნი-პრესტონი ........ 0:1
შეფილდი-როტერჰემი ........ 2:0
ბოლტონი-მილუოლი ........ 2:1
ბრისტოლი-ლიდსი ........ 0:1
ვესტ ბრომვიჩი-იფსვიჩი ........ 1:1
დერბი-უენსდი ........ 1:1
ქპრ-სტოკი ........ 0:0
მიდლსბრო-ბრენტფორდი ........ 1:2
ნოტინგემი-ჰალი ........ 3:0
რედინგი-უიგანი ........ 3:2

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ალავესი-ეიბარი ........ 1:1
ატლეტიკო-ლეგანესი ........ 1:0
ბარსელონა-რაიო ........ 3:1
ხეტაფე-უესკა ........ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 27 | 19 | 6 | 2 | 69-26 | 63 |
| 2.ატლეტიკო | 27 | 16 | 8 | 3 | 39-17 | 56 |
| 3.რეალი | 26 | 15 | 3 | 8 | 43-31 | 48 |
| 4.ხეტაფე | 27 | 12 | 9 | 6 | 36-24 | 45 |
| 5.ალავესი | 27 | 11 | 8 | 8 | 28-30 | 40 |
| 6.სევილია | 26 | 10 | 7 | 9 | 41-34 | 37 |
| 7.ვალენსია | 26 | 7 | 15 | 4 | 27-21 | 36 |
| 8.ბეტისი | 26 | 10 | 6 | 10 | 30-32 | 36 |
| 9.სოსიედადი | 26 | 9 | 8 | 9 | 30-27 | 35 |
| 10.ეიბარი | 27 | 8 | 11 | 8 | 35-36 | 35 |
| 11.ლეგანესი | 27 | 8 | 9 | 10 | 27-32 | 33 |
| 12.ესპანიოლი | 27 | 9 | 7 | 11 | 32-40 | 34 |
| 13.ბილბაო | 27 | 7 | 13 | 7 | 26-31 | 34 |
| 14.ხირონა | 26 | 7 | 10 | 9 | 27-34 | 31 |
| 15.ლევანტე | 26 | 8 | 6 | 12 | 37-46 | 30 |
| 16.ვალიადოლიდი | 26 | 6 | 8 | 12 | 20-34 | 26 |
| 17.სელტა | 26 | 6 | 7 | 13 | 36-44 | 25 |
| 18.ვილიარეალი | 26 | 4 | 11 | 11 | 27-35 | 23 |
| 19.რაიო | 27 | 6 | 5 | 16 | 29-48 | 23 |
| 20.უესკა | 27 | 5 | 7 | 15 | 27-44 | 22 |

### ესპანეთი. მე-2 დივიზიონი

მალიორკა-ოვიედო ........ 1:0
ხიხონი-ალმერია ........ 1:0
ხიმნასტიკი-ალბასეტე ........ 1:0
ელჩე-კადისი ........ 1:0

### გერმანია. ბუნდესლიგა

ბაიერნი-ვოლფსბურგი ........ 6:0
დორტმუნდი-შტუტგარტი ........ 3:1
ლაიპციგი-აუგსბურგი ........ 0:0
ფრაიბურგი-ჰერტა ........ 2:1
მაინცი-გლადბახი ........ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 25 | 18 | 3 | 4 | 62-27 | 57 |
| 2.დორტმუნდი | 25 | 17 | 6 | 2 | 61-28 | 57 |
| 3.ლაიპციგი | 25 | 13 | 7 | 5 | 43-20 | 46 |
| 4.გლადბახი | 25 | 14 | 4 | 7 | 44-30 | 46 |
| 5.აინტრახტი | 24 | 11 | 7 | 6 | 47-30 | 40 |
| 6.ლევერკუზენი | 24 | 12 | 3 | 9 | 43-35 | 39 |
| 7.ვოლფსბურგი | 25 | 11 | 6 | 8 | 39-37 | 39 |
| 8.ვერდერი | 25 | 9 | 9 | 7 | 43-37 | 36 |
| 9.ჰერტა | 25 | 9 | 8 | 8 | 38-36 | 35 |
| 10.ჰოფენჰაიმი | 24 | 8 | 10 | 6 | 47-36 | 34 |
| 11.ფორტუნა | 24 | 9 | 4 | 11 | 31-42 | 31 |
| 12.მაინცი | 25 | 8 | 6 | 11 | 27-39 | 30 |
| 13.ფრაიბურგი | 25 | 7 | 9 | 9 | 36-41 | 30 |
| 14.შალკე | 25 | 6 | 5 | 14 | 27-43 | 23 |
| 15.აუგსბურგი | 25 | 5 | 7 | 13 | 34-46 | 22 |
| 16.შტუტგარტი | 25 | 5 | 4 | 16 | 25-55 | 19 |
| 17.ჰანოვერი | 24 | 3 | 5 | 16 | 21-55 | 14 |
| 18.ნიურნბერგი | 24 | 2 | 7 | 15 | 18-49 | 13 |

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

დარმშტადი-კილი ........ 3:2
კიოლნი-არმინია ........ 5:1
აურე-პადერბორნი ........ 2:1
რეგენსბურგი-დუისბურგი ........ 1:1

### იტალია. სერია ა

პარმა-ჯენოა ........ 1:0
კიევო-მილანი ........ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 27 | 24 | 3 | 0 | 59-17 | 75 |
| 2.ნაპოლი | 26 | 17 | 5 | 4 | 47-20 | 56 |
| 3.მილანი | 27 | 14 | 9 | 4 | 41-23 | 51 |
| 4.ინტერი | 26 | 14 | 5 | 7 | 38-22 | 47 |
| 5.რომა | 26 | 12 | 8 | 6 | 49-36 | 44 |
| 6.ატალანტა | 26 | 12 | 5 | 9 | 54-37 | 41 |
| 7.ტორინო | 26 | 10 | 11 | 5 | 33-22 | 41 |
| 8.ლაციო | 25 | 12 | 5 | 8 | 36-27 | 41 |
| 9.სამპდორია | 26 | 11 | 6 | 9 | 43-33 | 39 |
| 10.ფიორენტინა | 26 | 8 | 12 | 6 | 41-32 | 36 |
| 11.პარმა | 27 | 9 | 6 | 12 | 29-40 | 33 |
| 12.სასუოლო | 26 | 7 | 10 | 9 | 35-41 | 31 |
| 13.ჯენოა | 27 | 7 | 9 | 11 | 32-42 | 30 |
| 14.კალიარი | 26 | 6 | 9 | 11 | 23-37 | 27 |
| 15.უდინეზე | 26 | 6 | 7 | 13 | 22-36 | 25 |
| 16.სპალი | 26 | 5 | 8 | 13 | 23-39 | 23 |
| 17.ემპოლი | 26 | 5 | 7 | 14 | 33-51 | 22 |
| 18.ბოლონია | 26 | 3 | 9 | 14 | 20-40 | 18 |
| 19.ფროზინონე | 26 | 3 | 8 | 15 | 19-49 | 17 |
| 20.კიევო | 27 | 1 | 10 | 16 | 20-53 | 10 |

**შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა**

### იტალია. სერია ბ

კოზენცა-ბრეშა ........ 2:3
ლეჩე-ფოჯა ........ 1:0
ჩიტადელა-პესკარა ........ 4:1
სპეცია-პადოვა ........ 0:2

### საფრანგეთი. 1 ლიგა

სტრასბური-ლიონი ........ 2:2
ამიენი-ნიმი ........ 2:1
დიჟონი-რეიმსი ........ 1:1
მონაკო-ბორდო ........ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 26 | 23 | 2 | 1 | 79-15 | 71 |
| 2.ლილი | 27 | 16 | 6 | 5 | 44-23 | 54 |
| 3.ლიონი | 28 | 14 | 8 | 6 | 47-33 | 50 |
| 4.მარსელი | 27 | 13 | 5 | 9 | 43-35 | 44 |
| 5.სტ.ეტიენი | 27 | 12 | 7 | 8 | 36-33 | 43 |
| 6.რეიმსი | 28 | 10 | 13 | 5 | 30-27 | 43 |
| 7.ნიცა | 27 | 11 | 7 | 9 | 20-27 | 40 |
| 8.სტრასბური | 28 | 9 | 11 | 8 | 43-33 | 38 |
| 9.მონპელიე | 26 | 9 | 11 | 6 | 34-28 | 38 |
| 10.რენი | 26 | 10 | 7 | 9 | 35-34 | 37 |
| 11.ნიმი | 27 | 10 | 6 | 11 | 38-40 | 36 |
| 12.ანჟე | 27 | 8 | 10 | 9 | 31-31 | 34 |
| 13.ბორდო | 27 | 8 | 9 | 10 | 26-28 | 33 |
| 14.ნანტი | 27 | 8 | 7 | 12 | 31-34 | 31 |
| 15.ტულუზა | 27 | 6 | 10 | 11 | 26-42 | 28 |
| 16.ამიენი | 28 | 8 | 4 | 16 | 24-43 | 28 |
| 17.მონაკო | 28 | 6 | 9 | 13 | 29-44 | 27 |
| 18.დიჟონი | 27 | 5 | 6 | 16 | 21-41 | 21 |
| 19.კაენი | 27 | 3 | 11 | 13 | 22-36 | 20 |
| 20.გენგამი | 27 | 4 | 7 | 16 | 18-50 | 19 |

### საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ლანსი-ოსერი ........ 2:0

### ჰოლანდია. ეჰედივიზიონი

ვენლო-ექსელსიორი ........ 1:0
დენ ჰააგი-ჰერენვენი ........ 2:3
პსვ-ბრედა ........ 2:0
ტილბურგი-გრააფსხაპი ........ 3:2

### პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

მარიტიმუ-მორეირენში ........ 3:2
ბრაგა-გიმარაეში ........ 1:0
ბოავიშტა-სპორტინგი ........ 1:2

### რუსეთი. პრემიერლიგა

კრილია-ენისეი ........ 4:0
ცსკა-რუბინი ........ 3:0

### შვეიცარია. სუპერლიგა

გრასჰოპერსი-იანგ ბოიზი ........ 0:1
ქსამაქსი-სიონი ........ 3:1

### შოტლანდია. პრემიერლიგა

ლივინგსტონი-სტ.ჯონსონი ........ 3:1
მოზერველი-ჰამილტონი ........ 3:0
სელტიკი-აბერდინი ........ 0:0
დანდი-ჰართსი ........ 0:1

### საბერძნეთი. სუპერლიგა

ქსანთი-ასტერასი ........ 0:0
აეკი-პანათინაიკოსი ........ 0:0

### თურქეთი. სუპერლიგა

ტრაბზონი-აქჰისარი ........ 2:1
ანკარაგიუჯიუ-ბურსა ........ 0:0
ბაშაკშეჰირი-ფენერბახჩე ........ 2:1

### ჩეხეთი. 1 ლიგა

ზლინი-დუკლა ........ 2:1
კარვინა-ბოჰემიანსი 1905 ........ 0:3
ბოლესლავი-პრჟიბრჟამი ........ 2:0
ოპავა-სლოვაცკო ........ 2:2
სპარტა-პლზენი ........ 4:0

### პოლონეთი. ექსტრაკლასა

კრაკოვია-საგლებიე ........ 2:1
კორონა-კელცე ........ 2:6
**კორონას ორივე გოლი ვატო არველაძემ გაიტანა**
არკა-ლეგია ........ 1:2

### უკრაინა. პრემიერლიგა

მარიუპოლი-ჩერნომორეცი ........ 0:0
ვორსკლა-დესნა ........ 0:0
ლვოვი-ზორია ........ 0:0

### დანია. სუპერლიგა

ველე-ვენსიუსელი ........ 1:1

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ამერიკაში ტბიდან ისტორიამდელი ქარიყლაპია ამოიყვანეს



ახალ ორლეანში ლაფრენიერის პარკში მდებარე ტბიდან უზარმაზარი მისისიპური ჯავშნოსანი ამოიყვანეს. მკვდარ თევზს მალე აუვიდა მყრალი სუნი, რამაც დამთვალიერებლები დააფრთხო.

მისისიპური ჯავშნოსანი უძველესი არსებაა, რომელიც 50-34 მილიონი წლის წინ გამოჩნდა. მას შემდეგ ის, პრაქტიკულად, არ შეცვლილა. ეს არსება სხეულის წინა ნაწილით ალიგატორს წააგავს, ხოლო უკანა ნაწილით – თევზს. მას ასევე ალიგატორისებრ ქარიყლაპიასაც უწოდებენ.



ის ერთ-ერთი უდიდესი მტკნარი წყლის ბინადარი თევზია. მისმა სიგრძემ, შესაძლოა, 3 მეტრს მიაღწიოს, ხოლო წონამ – 130 კილოგრამს. მისისიპური ჯავშნოსანი გვხვდება ჩრდილოეთ და ცენტრალურ ამერიკაში.

პარკში თევზი არ აუწონიათ, თუმცა ფოტოსურათებიდანაც აშკარაა, რომ ის საკმაოდ დიდი ზომისაა.

# მეგან მარკლი მორიგმა თანაშემწემ მიატოვა

სასექსის ჰერცოგინია მეგან მარკლთან ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში უკვე მესამე თანაშემწემ გაწყვიტა კონტრაქტი.



გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბუკინჰემის სასახლიდან მიდის მარკლის „მარჯვენა ხელი“, 32 წლის ემი პიკერილი.

აღსანიშნავია, რომ ქალებს ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა აქვთ. ისინი შეთანხმდნენ, რომ პიკერილი თანამდებობას ჰერცოგინიას მშობიარობამდე არ დატოვებს. ასევე ის მარკლს დახმარებას გაუწევს მშობიარობის შემდეგაც, სანამ სასახლეში ახალ თანაშემწეს არ გამოძებნიან.

# ინდოეთში ვირთხამ საიუველირო მაღაზია გაქურდა

ინდოეთში საიუველირო მაღაზიის მფლობელმა ბრილიანტისთვლებიანი ორი სამკაულის დაკარგვის შემდეგ სათვალთვალო კამერების ჩანაწერები შეისწავლა, რის შემდეგაც აღმოჩნდა, რომ ქურდი ვირთხა იყო.



ინდოელმა განაცხადა, რომ მის მაღაზიაში ორი ძვირფასი სამკაული დაიკარგა. ის ეჭვობდა, რომ ისინი, შესაძლოა, ერთ-ერთ თანამშრომელს მოეპარა და ამიტომ სათვალთვალო კამერების ჩანაწერები გულმოდგინედ შეისწავლა, თუმცა გაირკვა, რომ ქურდი ვირთხა იყო, რომელიც მაღაზიის ჭერიდან ჩამოძვრა. ძვირფასეულობის მოპარვის შემდეგ კი ის ისევ ჭერში აძვრა და მიიმალა. სამკაულებს ვერსად მიაგნეს.

# ავსტრალიელი პარაპლანერისტი კენგურუს დაეჯახა

ავსტრალიაში კანბერას რაიონში მიწაზე დაშვების დროს პარაპლანერისტი კენგურუს დაეჯახა და მისი თავდასხმის ობიექტად იქცა.

თავად პარაპლანერისტის თქმით, ორსაათიანი ფრენის შემდეგ მან დასაფრენი ადგილი შენიშნა, მთელი ყურადღება ძირს დაშვებაზე გადაიტანა და, სანამ მიწამდე არ მიაღწია, კენგურუები არ შეუნიშნავს.

როდესაც ერთ-ერთმა მათგანმა მასთან მიირბინა, ავსტრალიელმა იფიქრა, რომ ცხოველი მეგობრულად იყო განწყობილი და მიმართა: „რა მოხდა, სკიპი?“. ამის პასუხად კენგურუ მას ორჯერ დაესხა თავს, შემდეგ კი გვერდით გახტა.



ავსტრალიელმა დაშვება მაინც მოახერხა, თავისი პარაპლანი აკეცა და შემდეგ რამდენიმე კილომეტრი ფეხით გაიარა, სანამ მისმა ტელეფონმა კავშირის დამყარება არ შეძლო. ის მეგობარს დაუკავშირდა, უთხრა თავისი კოორდინატები და მის მოსვლას დაელოდა. საბედნიეროდ, ამ ინციდენტის შედეგად ავსტრალიელი არ დაშავებულა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ქალი საკუთარი ცხვირის გამო ხალხში აღარ ჩნდება



ამერიკის ტეხასის შტატის მკვიდრი ქალბატონი უკვე რამდენიმე წელია, უცნობ ადამიანებთან შეხვედრას გაურბის, რისი მიზეზიც მისი დაწითლებული და ორჯერ გაზრდილი ცხვირია.

39 წლის ადრიანა ილი ამტკიცებს, რომ მისმა ცხვირმა ზრდა 2013 წელს დაიწყო. იმისთვის, რომ ღამით სუნთქვა გაიოლებოდა, იძულებული იყო, ცხვირის წვერი თითით აეწია, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ნესტოები დახურვოდა. ამ ყოველივეს გამო ქალი, ფაქტობრივად, განდეგილივით ცხოვრობდა. მას აშინებდა ის, რომ ადამიანები მას ცნობისმოყვარე მზერას მიაპყრობდნენ და, შესაძლოა, დაცინვის ობიექტადაც ქცეულიყო.

თავდაპირველად ილი ფიქრობდა, რომ ცხვირის ფორმის ასეთი ცვლილება რინოპლასტიკით გამოწვეული გართულების შედეგი იყო, რომელიც მან ოთხი წლის წინ გაიკეთა. 2017 წელს ქალმა უყურა ტელეგადაცემას, რომელიც ცხვირის კანის ქრონიკულ დაავადებას – რინოფიმს ეძღვნებოდა და მისი სიმპტომები მისას წააგავდა.

მან დერმატოლოგს მიმართა, რომელმაც ქალს მისი ვარაუდი დაუდასტურა. დიაგნოზი მისთვის ადრე არ დაუსვამთ, ვინაიდან რინოფიმი ქალებში დიდ იშვიათობას წარმოადგენს და, როგორც წესი, ის 40-50 წლის მამაკაცებს აწუხებთ.

სპეციალისტმა ილის ურჩია პროცედურის გაკეთება, რომლის დროსაც ცხვირის კანის ზედა სამი მილიმეტრის სისქის ფენის ამოწვა ლაზერით ხდება. ოპერაციის შემდეგ ქალი პირველად გათავისუფლდა სუნთქვის პრობლემებისგან, თუმცა, ამავე დროს, ცხვირი კიდევ უფრო საშინელი სანახავი გაუხდა. ის იძულებული გახდა, რამდენიმე კვირის განმავლობაში ნიღაბი ეტარებინა.

შემდგომი ორი წლის განმავლობაში ილი ყოველ კვირა დადიოდა პროცედურებზე, რომლებიც ცხვირის ნორმალური ფორმისა და პიგმენტაციის აღდგენას ემსახურებოდა. ქალი ფიქრობს, რომ საბოლოოდ მკურნალობას მიმდინარე წლის მაისში დაასრულებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# სკანვორდი



1. მომღერალი ... ფრანკლინი; 2. რკინიგზის სადგურის პლატფორმა; 3. ქათმების საჯდომი ხარიხა საქათმეში; 4. ულაგამო აღვირი; 5. სოფელი ხევში; 6. მღვდლის ცოლი (ძვ.); 7. „ურიელ ...“; 8. ... ემხვარი; 9. აღმოსავლური შაში; 10. „... დამაცადე!“; 11. ისტორიული ოლქი ესპანეთში; 12. ინგლისის კონსერვატორების პარტიის წინამორბედი; 13. ფრინველების დასაჭერი მახე; 14. ხომალდის ტვირთი; 15. ჰომეროსის პოემა; 16. ხორციანი კორკოტი; 17. თხის ჯოგი; 18. ასო „რ“-ს სახელწოდება; 19. თევზების აღწერა; 20. კათოლიკეთა მღვდელი; 21. მდინარის მტაცებელი თევზი; 22. ქერელის საზღვაო თოკი; 23. ქაშაყისებრთა ოჯახის პატარა თევზი; 24. პურის ნაჭრების შესაბრაწი მოწყობილობა; 25. „გედების ტბის“ პერსონაჟი; 26. საქართველოში მოღვაწე რუსი ფერმწერი და გრაფიკოსი (1922-34 წ.წ); 27. წონის ერთეული ჩინეთში; 28. სურდო; 29. ... უინსლეტი; 30. კოლხი მედეას დედა; 31. ტექსტის დამსურათებელი; 32. ფარაონების ღვთაებრივი მშობელი ეგვიპტურ მითოლოგიაში.

## სპორტი

# ტორპედოს წაუგებელი სერია ლოკომოტივმა შეწყვიტა

**ტორპედო–ლოკომოტივი 0:2**

**ქუთაისი. რამაზ შენგელია**

0:1 შონია (76), 0:2 კიკაბიძე (90)

**ტორპედო:** კვასხვაძე, ცინცაძე (ჩაჩუა 76), გიგაური, ნ.ქავთარაძე, წიქარიძე (კაპანაძე 56), ზივზივაძე, აზაცკი, სტიეპოვიჩი (ქიმაძე 46), გეგეჭკორი, დოლიძე, კობახიძე

**ლოკომოტივი:** ბულისკერია, გურეშიძე, ნ.ჭანტურია, სამურკასოვი (გვალია 67), შონია, ინჯგია (ჯიქია 8), სიხარულიძე, ძებნიაური, თ.კირკიტაძე, არდაზიშვილი (კიკაბიძე 78), უბილავა

27 მატჩი არ ჰქონდა ქუთაისის ტორპედოს წაგებული ეროვნულ ჩემპიონატში და პირველი მარცხი თბილისის ლოკომოტივმა აწვნია.



მესამე ტური იმერეთის მთავარ ქალაქში გაიხსნა. კახა ჩხეტიანის გუნდი საკუთარ მოედანზე თამაშობდა და ფავორიტადაც ითვლებოდა, მაგრამ ასე არ ფიქრობდა მეტოქე. ლოკომოტივი ორგანიზებულად გამოიყურებოდა და სამართლიანადაც გაიმარჯვა.

ანგარიში სტუმრებმა 75-ე წუთზე თეიმურაზ შონიას მიერ გატანილი გოლით გახსნეს, ხოლო ორამდე უპირატესობა ლუკა კიკაბიძემ მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში გაზარდა და დროებით ცხრილის სათავეში მოექცა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ლოკომოტივი | 3 | 2 | 0 | 1 | 7-4 | 6 |
| 2.საბურთალო | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 3.ტორპედო | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| 4.ვიტ ჯორჯია | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 5.დინამო (თბ) | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 6.სიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 7.დილა | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 8.ჩიხურა | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 9.რუსთავი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |
| 10.დინამო (ბთ) | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# ასტროპროგნოზი 11 მარტისთვის



**ვერძი** – სამსახურში წარმატება გელით, თუმცა პლანეტები გაფრთხილებენ, ნუ იჯიუტებთ. **კურო** – დროებით დეპრესია შემოგიტევთ, მაგრამ სულ მალე ღრუბლები გაიფანტება და თავს ისევ ხალისიანად და ლაღად იგრძნობთ. **ტყუპები** – იშრომეთ, ისწავლეთ და შედეგიც არ დააყოვნებს. ნუ დაწვრილმანდებით. **კირჩხიბი** – ემოციები მოთოკეთ. მეორეხარისხოვან თემებზე გაბრაზება არ ღირს. **ლომი** – იზრუნეთ პროფესიონალურ სრულყოფაზე. მიზნის მიღწევისას დაბრკოლებების გადალახვა მოგიწევთ. **ქალწული** – საკუთარი პრინციპების დაცვას ნუ ეცდებით და ნურც ნურავის შეეჯიბრებით. ერიდეთ კონფლიქტურ ადამიანებს. **სასწორი** – კრიტიკული დღეა. ყოფითი პრობლემების მოგვარება იოლი არ იქნება. **ღრიანკალი** – ინტუიციას მიენდეთ, რომელიც დღეს განსაკუთრებით გაგიმახვილდებათ. დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. **მშვილდოსანი** – დროს უქმად ნუ დაკარგავთ. ჭორებს არ აჰყვეთ. **თხის რქა** – პირად ცხოვრებაში ყველაფერი რიგზე გაქვთ. პარტნიორის აზრს პატივი ეცით. **მერწყული** – ყოფით პრობლემებზე მაღლა დადექით. საკუთარი თავი კრიტიკულად შეაფასეთ. **თევზები** – იმედი გიცრუვდებათ. ნუ იქნებით მიამიტი. რეალობა სათანადოდ მიიღეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. დარიალი; 2. ჰეპატიტი; 3. ორაგული; 5. კალევალა; 7. მცონარა; 9. მურვანიძე; 13. მისტიკა; 15. ორფოლო; 16. შულერი; 18. მზისა.

**თარაზულად:** 4. მარაკეში; 6. გრეიდერი; 8. ცივილიზაცია; 10. ფანდური; 11. რალი; 12. ტრამპი; 14. შონია; 17. გნომი; 19. სფერო; 20. აერობუსი; 21. ეტლი; 22. პორტვეინი; 23. მარსალა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კომბლე; 2. რვალი; 3. ბოტი; 5. თოხანი; 6. შტატი; 7. მინევრა; 11. კლიჩკო; 13. არიფანა; 14. დვალი; 15. ბუშლატი; 16. პულმანი; 17. ვეტელი; 19. ალიბი; 20. კარე.

**თარაზულად:** 1. კურსები; 4. ქართუ; 8. ტაიჭი; 9. ხადა; 10. ბალოკი; 12. კეიტონი; 14. დაჩი; 15. ბაბლუანი; 16. პუარო; 18. დელტა; 21. ტოკაი; 22. ნეკრესი; 23. ბალზაკი.

# ანდრეი ტარკოვსკის უკანასკნელი ფილმის ფოტოგამოფენა ხელოვნების სასახლეში გაიმართება



XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი რეჟისორის, სცენარისტის, მსახიობისა და მწერლის ანდრეი ტარკოვსკის უკანასკნელი ფილმის „მსხვერპლშეწირვის“ ფოტოგამოფენა 14 მარტს ხელოვნების სასახლეში გაიხსნება.

ხელოვანმა პირველი საკურსო ფილმი „მკვლელები“ ერნესტ ჰემინგუეის მოთხრობის მიხედვით გადაიღო, სადაც ეპიზოდურ როლს თავად ასრულებდა. ფილმი დღეს სრული სახით შემორჩენილი არ არის.

სადიპლომო ნამუშევარი „სატკეპნი და ვიოლინო“ მოსფილმის ბაზაზე შეიქმნა, ხოლო პირველი სრულმეტრაჟიანი სურათი „ივანეს ბავშვობა“ ბოგომოლოვის ნაწარმოების მიხედვით გადაიღო. ფილმმა ვენეციის კინოფესტივალის მთავარი პრიზი, ოქროს ლომი, მიიღო.

„ანდრეი რუბლიოვის“ შემდეგ ტარკოვსკიმ პოლონელი მწერლის სტანისლავ ლემის სამეცნიერო-ფანტასტიკური ნოველა „სოლარისი“ გადაიღო. ფილმს კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე სპეციალური პრიზი მისცეს. „სარკე“ ტარკოვსკის ყველაზე ავტობიოგრაფიული ნამუშევარია. მასში რეჟისორის დედა მონაწილეობს და საკუთარ ლექსებს არსენი ტარკოვსკი კითხულობს.

„სტალკერი“ ტარკოვსკის მიერ სამშობლოში გადაღებული ბოლო ფილმია.

„მსხვერპლშეწირვა“ უკანასკნელი ნამუშევარია, რომელიც რეჟისორმა 1986 წელს შვედეთში გადაიღო. ფილმის მონტაჟის დროს იგი უკვე ავთვისებიანი სიმსივნით იყო ავად.

შემოქმედი საფრანგეთში 1986 წლის 29 დეკემბერს გარდაიცვალა.

ტარკოვსკის ყველა ფილმი მიმართულია არა სამყაროს შეცნობისკენ ან სამყაროდან მიღებული შთაბეჭდილებებისკენ, არამედ მთლიანად არის კონცენტრირებული ადამიანზე, პიროვნებაზე, შინაგან ძვრებზე, ფსიქიკის ყველაზე დახლართულ ლაბირინთებში მოგზაურობაზე.

გაჭირვება ანდრეი ტარკოვსკის ცხოვრების თანამგზავრი იყო. რეჟისორი, რომლის ფილმებს საბჭოთა ცენზურა ან ამახინჯებდა, ან დიდხანს აყოვნებდა პრემიერას, წლების განმავლობაში უმუშევარი იყო...

„ხელოვნება უნდა იყოს აქ, რათა ადამიანს გაახსენოს, რომ ის არის სულიერი არსება, რომ ის არის უსასრულოდ დიდი სულის ნაწილი, სულისა, რომელსაც ის უბრუნდება საბოლოო ჯამში. თუკი ადამიანი დაინტერესებულია ამ საკითხებით, თუკი ის მათ სვამს, ესე იგი ის სულიერად გადარჩა, – ამბობდა ანდრეი ტარკოვსკი.

ექსპოზიციას წარმოადგენს ფოტოების ავტორი, საპატიო სტუმარი ლონდონიდან, მწერალი, დრამატურგი, კინომცოდნე ლაილა გარეტი.

# ლია კაპანაძე 85 წლის გახდა



კინომსახიობთა თეატრის მსახიობი ლია კაპანაძე 85 წლის გახდა. მსახიობს ამ ხნის განმავლობაში უამრავი გამოცდილება დაუგროვდა და, როცა უკან იხედება, ამბობს, რომ განვლილი ცხოვრებით კმაყოფილია.

იუბილარ მსახიობს ბედისწერის ძალიან სჯერა და ამბობს, რომ ის თითოეული ადამიანის ცხოვრებაში უმთავრეს როლს თამაშობს:

– როგორ შეიძლება, ბედისწერის არ მჯეროდეს?! მთელი ბერძნული ფილოსოფია ხომ ამაზეა აგებული. დიდი დრამატურგებიც კი ბედისწერით დაღდასმულ ადამიანებზე წერდნენ. ახალგაზრდობისას ამაზე ფიქრის დრო ნამდვილად არ მქონდა. წლების შემდეგ კი, როცა ცხოვრებაში მომხდარი პროცესები გავაანალიზე, მივხვდი, რომ ესა თუ ის მოვლენა აუცილებლად უნდა მომხდარიყო.

ერთ-ერთი ფილოსოფოსი წერს, ადამიანის ბედი ჩანასახშივე დაწერილიაო და ეს ნამდვილად სიმართლეა. ერთხელ სიმპოზიუმიდან ვბრუნდებოდი. სხვა ავტობუსით უნდა მემგზავრა, მაგრამ ბოლო წუთებში სხვა ავტობუსში ავედი. გზაში სატვირთო მანქანა დაგვეჯახა და დღესაც არ ვიცი, უეჭველ სიკვდილს სასწაულებრივად როგორ გადავურჩი.

არადა, იმ პერიოდში წინათგრძნობა მქონდა, რომ ავტოავარიაში მოვყვებოდი, თანაც თავს ვიმშვიდებდი, რკინა ვერაფერს დამაკლებს-მეთქი. ჩემს ცხოვრებაში ბევრი ისეთი მომენტი ყოფილა, როცა ვიფიქრე, ეს ზემოთ გადაწყდა-მეთქი.

ბოლო დროს ხშირად ვეკითხები ჩემს თავს – ვარ თუ არა ბედნიერი და, როცა კარგად დავფიქრდები, ვხვდები, რომ იმ ტკივილების მიუხედავად, რომლებიც ჩემს ცხოვრებაში ბედნიერ წუთებზე მეტი იყო, მაინც ბედნიერი ვარ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ როცა ნებისმიერი ადამიანი ამ ცხოვრებაში საკუთარ ადგილს იპოვის, არ უნდა იყოს უმადური და უნდა თქვას, რომ ბედნიერია. ცხოვრების თეატრში ჩემი ადგილი ნამდვილად დავიმკვიდრე. ბედნიერება ხომ გაელვებასავითაა და ის მხოლოდ წუთები გრძელდება. ასეთი გაელვება ბევრი მქონდა, მაგრამ ცხოვრება ძირითადად მაინც ტკივილებისგან შედგება.

# ნინო არაზაშვილი ტვ პირველის წამყვანია

ჟურნალისტი ნინო არაზაშვილი ტვ პირველის წამყვანი გახდა.

ის წლების განმავლობაში ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ში მუშაობდა და გადაცემა „დილა მშვიდობისა, საქართველოს“ წამყვანი და პროდიუსერი იყო.



ნინომ „რუსთავი 2“-დან წასვლის გადაწყვეტილება მიიღო და არჩევანი ტვ პირველზე გააკეთა, სადაც გადაცემა „პირველამდე“ მიჰყავს.

# დავით საყვარელიძე: „აუცილებელია თეატრში მობილური ტელეფონის გამორთვა!“

რეჟისორი დავით საყვარელიძე გაკვირვებულია იმ ფაქტით, რომ საზოგადოებას ვერ გაუგია, სპექტაკლზე თუ კონცერტზე მობილურის სარგებლობა უზრდელობაა:



– როგორ შევაგნებინოთ საზოგადოებას, რომ თეატრში წარმოდგენაზე, კლასიკური მუსიკის კონცერტზე, საოპერო სპექტაკლის დროს მობილურით სარგებლობა არის უზრდელობა?

გააგებინეთ ახლობლებს, ნათესავებს, ბავშვებს, ახალგაზრდებსა და განსაკუთრებით ასაკოვან ხალხს, რომ აუცილებელია თეატრში მობილური ტელეფონის გამორთვა!

# მაია დარსმელიძე: „არასოდეს ვიქნები იქ, სადაც არ ვარ საჭირო“

აცხადებს მომღერალი მაია დარსმელიძე და აღარასდროს მოიცლის მათთვის, ვინც მის ყურადღებას არ იმსახურებს:

– იმდენი საქმე მოვიგონე და ავიტეხე, რომ საერთოდ ველარ მოვიცლი მათთვის, ვინც ჩემს ყურადღებას 2019-დან აღარ იმსახურებს.

არასოდეს ვიქნები იქ, სადაც არ ვარ საჭირო, ვერ „დამინახეს“, ან ვერ დამაფასეს.

ყოველთვის ვიქნები იქ, სადაც საჭირო ვარ და ყველა ჩემი პლუსი იციან.



სასიხარულოდ რჩება ისევ ის ფაქტი, რომ კვლავაც არ გავქოცებულვარ.

საქმის დროა!

# მარკუს მეტრეველი თაღლითების მსხვერპლი გახდა

მომღერალი მარკუს მეტრეველი თაღლითების მსხვერპლი გახდა.

მან თავის მეგობრებს ყალბი გვერდის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია, რომელიც სოციალურ ქსელშია გახსნილი და მომღერლის სახელით ხალხს სიბინძურეებს სწერს:

– მეგობრებო, ძალიან გთხოვთ! უკვე უამრავმა კარგმა ადამიანმა მომწერა, მაგრამ მაინც შეგახსენებთ!

ეს უსაქმური პიროვნება, რომელიც დგას ჩემი სახელის უკან ამოფარებული და ყალბ ანგარიშებს ქმნის, იმისთვის, რომ უამრავ ხალხს სიბინძურეები მისწეროს და თავისი დაუკმაყოფილებელი ვნებები არაადამიანურად გახარჯოს, არ დაიზაროთ და დაარეპორტეთ. მადლობა წინასწარ.

# იუმორისტი ალექს აბრამაშვილი გარდაიცვალა



ტელეკომპანია „ჯიდიესის“ იუმორისტული გადაცემა „სთენდაპერის“ იუმორისტი ალექს აბრამაშვილი, მეტსახელად ხეიბარი ალექსა, გარდაიცვალა. ამის მიზეზი მისი დაავადება – კუნთების ატროფია გახდა.

სამწუხარო ინფორმაცია გადაცემის ოფიციალურმა გვერდმა გაავრცელა:

– ჩვენი ალექსა წავიდა... მშვიდად განისვენე, ძმაო.

ხეიბარი ალექსა იუმორისტულ გადაცემაში ყოველთვის საკუთარ თავზე ხუმრობდა და მაყურებელში დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

**ნათია ჭელიძე:**

– კუნთების ატროფია ჰქონდა. საშინელი დაავადებაა. ხედავ, როგორ დნები და საბოლოოდ იღუპები. საუბედუროდ, გონებაც კი საღი გრჩება და ბოლომდე აცნობიერებ, რა გემართება. გასაკვირი ის არის, ასეთი ძლიერი ბიჭი რომ იყო და თავის მდგომარეობას დადებითად უყურებდა. მართლა მისაბაძია, იცოდე, ასეთი რამე გჭირს და მაინც მაქსიმალურად დადებითად იცხოვრო. ძალიან დამწყდა გული.

# დემნა გვასალია რასიზმში დაადანაშაულეს



ქართველი დიზაინერი დემნა გვასალია რასიზმში დაადანაშაულეს. ამ თემაზე მან უცხოელ ჟურნალისტებთან მოკლე კომენტარი გააკეთა.

***– როგორი რეაქცია გქონდა, როცა გაიგე, რომ რასიზმში გადანაშაულებდნენ?***

– დონალდ ტრამპი ამერიკის პრეზიდენტია და ხალხი ჩემს საქმიანობაში ხედავს რასიზმს, ცოტა სასაცილოა. თავიდან ძალიან გავოცდი, რადგან ამ თემაზე არც მიფიქრია. არც ერთი გოგონა და ბიჭი არ ამირჩევია ეროვნების ან კანის ფერის მიხედვით. მე საიდანაც ვარ, იქ ასეთი თემები აქტუალური არასდროს ყოფილა და ალბათ ჩემს წარმოდგენაშიც ამიტომ არ არსებობდა, მაგრამ ვხვდები, რომ დღეს სხვა სოციუმში ვცხოვრობ და ამ ხალხისთვის მნიშვნელოვანია ჩემი გადაწყვეტილება მოდელების კანის ფერთან დაკავშირებით, ამიტომ უნდა გავითვალისწინო.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კალეიდოსკოპი

# პლასტიკური ქირურგიის მსხვერპლს სამი დუნდულა აქვს



სპეციალურ ტელეგადაცემაში, რომელშიც საუბარი წარუმატებელ პლასტიკურ ოპერაციებს ეხება, მონაწილეობა მიიღო პლასტიკური ქირურგიის მოყვარულმა ქალმა, სახელად იმანიმ. მის თავისტკივილად დუნდულებში ჩადგმული იმპლანტატები იქცა.

ქალი ამტკიცებს, რომ პრობლემები ოპერაციის გაკეთებიდან ექვსი-რვა თვის შემდეგ დაეწყო. მისი თქმით, სილიკონმა მის დუნდულებში მოძრაობა დაიწყო და, შესაძლოა, გადატრიალდა, როდესაც არასაკმარისად ფრთხილად დაჯდა. იმანიმ ამის შესახებ იმ სპეციალისტს შესჩივლა, რომელმაც ოპერაცია გაუკეთა, მაგრამ ამაზე მან უპასუხა, რომ მას, უბრალოდ, იმპლანტი უნდა გადაებრუნებინა.

– ახლა მე პრაქტიკულად სამი დუნდულა მაქვს. ამის შემჩნევა გვერდიდან შეხედვითაც კი შესაძლებელია, – განაცხადა იმანიმ ტელეწამყვანთან, ცნობილ პლასტიკურ ქირურგ ტერი დუბროუსთან საუბრის დროს.

– დუნდულების იმპლანტატები ყველაზე ხშირად ხდება გართულებების მიზეზი, – შენიშნა დუბროუმ. გასინჯვის შემდეგ მან ქალს უთხრა, რომ მას მდგომარეობის გამოსასწორებლად მრავალსაფეხურიანი პროცედურების გავლა დასჭირდებოდა, რომელიც დაახლოებით ორ წელიწადს გაგრძელდებოდა.

# ექიმებმა ბავშვის გაჩერებული გული 30 წუთში აამუშავეს



ჩინეთის გუანდუნის პროვინციის ქალაქ ფოშანში ექიმებმა მოახერხეს გადარჩენა ბავშვისა, რომელსაც გული 30 წუთზე მეტხანს ჰქონდა გაჩერებული.

დედამ თავისი ერთი წლის შვილი მალაზიაში წაიყვანა და გზაში ბანანის ნაჭერი მისცა. მალე მან შენიშნა, ბიჭს სული ეხუთებოდა და სასწრაფოდ საავადმყოფოში მიიყვანა. ადგილამდე მისასვლელად მათ დაახლოებით ნახევარი საათი დასჭირდათ. ამ დროში ბავშვს გული გაუჩერდა და სუნთქვა შეწყვიტა.

საავადმყოფოში ბავშვს ყელიდან ბანანის ნაჭერი ამოუღეს, რომელიც მისი სუნთქვის შეწყვეტის მიზეზი გახდა. შემდეგ კი ხუთი ექიმი მორიგეობით ბავშვს გულის არაპირდაპირ მასაჟს უკეთებდა. 30 წუთის განმავლობაში მათ ბავშვის მკერდის მიდამოზე 3,6 ათასი დაწოლა განახორციელეს. მხოლოდ ამის შემდეგ აღუდგა ბიჭს გულისცემა.

– ჩვენ ამ მომენტში უსაზღვროდ გახარებული ვიყავით. ეს ნამდვილი სასწაული იყო, – განაცხადა ერთ-ერთმა ექიმმა.

ექიმები არ გამორიცხავენ, რომ გულის ხანგრძლივმა გაჩერებამ შესაძლოა ბავშვის თავის ტვინს გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს.

# ძაღლებს, რომლებმაც ბავშვს ხელი მოაჭამეს, დამცველები გამოუჩნდნენ



150 ათასზე ადამიანმა მოაწერა ხელი პეტიციას, რომელიც ორი ჰასკის დაძინების წინააღმდეგ იქნა შედგენილი. მათ ამერიკის იუტის შტატში ოთხი წლის ბიჭს ხელი მოაჭამეს.

ძაღლებმა ბავშვს ხელის ნაწილი მოაჭამეს (ხელის მტევანი), როდესაც მან ხელი მეზობლის ღობეში გაყო.

პეტიციის ავტორი ჯესიკა ნუტცი, რომელიც ძაღლების პატრონის მეგობარია, ცხოველების დაძინებას დაუმსახურებელ სასჯელად მიიჩნევს. მისი თქმით, ბავშვს ხელზე წინდა ჰქონდა წამოცმული, რომელიც შესაძლოა ძაღლებმა სათამაშოდ მიიღეს ისე, რომ ვერ მიხვდნენ, ის ღობის მეორე მხარეს მყოფი ბავშვის ხელზე რომ იყო წამოცმული. ის ამტკიცებს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ადამიანს ზიანს არ მიაყენებდნენ.

ამ დროისთვის დაშავებული ბავშვი სტაბილურად მძიმედ არის. მან ბევრი სისხლი დაკარგა. სასწრაფოს მისვლამდე მშობლები ცდილობდნენ მისთვის სისხლისდენის შეჩერებას, შემდეგ ბავშვი შვეულმფრენით სოლტ-ლეიკ-სიტის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ინციდენტის შემდეგ ცხოველები 10-დღიან კარანტინში მოათავსეს. პოლიციელებმა ბავშვისთვის მოგლეჯილ ხელის მტევანს ვერსად მიაგნეს. გამომძიებლები ფიქრობენ, რომ ის ძაღლებმა შეჭამეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# გადაყირავებულმა სატვირთომ გზა ლუდით მორწყა



ლოს ანჯელესიდან აღმოსავლეთით მდებარე ავტოსტრადაზე ლუდით დატვირთული მანქანა გადაბრუნდა, რის შედეგადაც გზაზე ლუდით სავსე ყუთები მიმოიფანტა.

ინციდენტი 7 მარტის დილას მოხდა. სატვირთო მანქანის 25 წლის მძღოლი ქალაქ ინგლვუდიდან შეეცადა, მანქანა მკვეთრად დაემუხრუჭებინა, საჭე გზის პირისკენ მიმართა, მაგრამ მართვა დაკარგა და ამოყირავდა.

ბოთლების ნაწილი დაიმსხვრა, რის გამოც გზაზე ლუდის მოზრდილი გუბე წარმოიქმნა. ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ინციდენტის შედეგად აალებასაც ჰქონდა ადგილი. სატვირთო მანქანის მძღოლი ცოცხალი გადარჩა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


11 მარტისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 2.6878
- ევრო — 3.0396
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5318
- 100 რუსული რუბლი — 4.0740

## ამინდის პროგნოზი 11 მარტისთვის





„ახალი თაობა“
წარმოგიდგენთ სერიას
„მე მიყვარს კითხვა“




12 მარტიდან
იაკობ გოგებაშვილი
საღმრთო ისტორია
ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი




5 მარტიდან
ჟიულ ვერნი
იდუმალი კუნძული
ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

„ახალი თაობა“
წარმოგიდგენთ სერიას
მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

1 მარტიდან
შოდერლო დე ლაკლო
სახიფათო კავშირები
ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი





## სასამართლომ პორნომსახიობის სარჩელი ტრამპის წინააღმდეგ უარყო

აშშ-ის ფედერალურმა სასამართლომ პორნომსახიობის სტრომი დენიელსის სარჩელი არ მიიღო, რომელიც მოითხოვდა, გაუქმებულიყო შეთანხმება, რომლის თანახმადაც, მას აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების უფლება არ ჰქონდა.



გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილებით, სარჩელი „საგნობრივ იურისდიქციას“ მოკლებული იყო.

დენიელსის განცხადებით, მისი ურთიერთობა დონალდ ტრამპთან 2006 წელს, მოდელ მელანი ტრამპზე დაქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ დაიწყო. ტრამპის ადვოკატმა მაიკლ კოენმა დენიელს 130 ათასი დოლარი გადაუხადა პრეზიდენტთან მისი ურთიერთობის გაუხმაურებლობის თაობაზე მიღწეული შეთანხმების ფარგლებში. თეთრ სახლში აღნიშნული ინფორმაცია უარყვეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

ქმარი ცოლს ეუბნება:

– მოდი, დამალობანა ვითამაშოთ.

– ???

– შენ დაიმალე და მე იქნებ ვინმე უკეთესი მოვძებნო.

●●●

ექიმი მამაკაცის გასინჯვის შემდეგ მის ცოლს ეუბნება:

– თქვენს მეუღლეს სრული სიმშვიდე სჭირდება. დამამშვიდებელი გამოგიწერეთ.

– და როგორ უნდა მიიღოს?

– მან კი არა, თქვენ უნდა მიიღოთ.

●●●

ხალხით სავსე ავტობუსში მამაკაცი გვერდით მდგომ ქალს ეუბნება:

– ქალბატონო, ხელის მოსაკიდი სახელური თქვენგან მარცხნივაა.

– მადლობა, მაგრამ მე უკვე ვიპოვე მოხერხებული სახელური.

– ვიცი, მაგრამ მე შემდეგ გაჩერებაზე ჩავდივარ.

●●●

მამაკაცი სამსახურში დააწინაურეს, ლატარიაში მსხვილი თანხა მოიგო და გახარებული სახლში ბედნიერებისგან აღრიალებული შევარდა. ამ დროს ცოლი ეუბნება:

– ნუ ღრიალებ, დედაჩემი გარდაიცვალა...

– ღმერთო, ამდენი ბედნიერება ერთად?!!!

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ისევ მარტო ხარ? ცოლი გჭირდება.

– რისთვის?

– ნამეტანი ბედნიერი გამომეტყველება გაქვს...

●●●

კაფეში ოფიციანტი მამაკაცს ეკითხება:

– ყავა კონიაკით?

– არა...

– უკონიაკოდ?

– უყავოდ.

●●●

ექიმი ქალს ეკითხება:

– კი მაგრამ, ახლახან იმშობიარეთ და უკვე ფეხმძიმედ ხართ? რა, სამშობიაროდან პირდაპირ საწოლში ამოყავით თავი?

– არა, ჯერ წვნიანი მოვამზადე...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



## „მის ახალგაზრდა სამყარო“ ახალგაზრდულ ასაკში გარდაიცვალა

სილამაზის კონკურსის „მის ახალგაზრდა სამყარო-2017“ ლოტე ვან დერ ზეე 19 წლის ასაკში გულის შეტევისგან გარდაიცვალა. ამის შესახებ ინფორმაცია ინსტაგრამში გოგონას გვერდზე მისმა მშობლებმა განათავსეს.



გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ინციდენტი ავსტრიის სამთო-სათხილამურო კურორტ ვესტენდორფში მოხდა, სადაც ახალგაზრდა მოდელი ოჯახთან ერთად ისვენებდა. გარდაცვალების წინა ღამეს, მშობლების თქმით, მათი ქალიშვილი მეგობრებს ხვდებოდა. ის სახლში კმაყოფილი დაბრუნდა და ჯანმრთელობის რაიმე პრობლემების შესახებ არ დაუჩივლია.

მეორე დღეს დილით გოგონა სადილზე არ გამოვიდა და, როდესაც მშობლები მასთან შევიდნენ, ნახეს, რომ ის ავად იყო. მალე ვან დერ ზეეს გულის შეტევა დაემართა.

ავსტრიელმა ექიმებმა ის ხელოვნურ კომაში გადაიყვანეს და მიუნხენის საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც გარდაიცვალა კიდეც. ექიმები კვლევას ატარებენ იმის დასადგენად, თუ რა გახდა გულის შეტევის მიზეზი, თუმცა შედეგები ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

19 წლის ვან დერ ზეე თავისი დაბადების დღის წინა დღეს გარდაიცვალა. ის 20 წლის უნდა გამხდარიყო.

## ჯენიფერ ლოპესი და ალექს როდრიგესი დაინიშნნენ



ამერიკელმა მსახიობმა ჯენიფერ ლოპესმა და ბეისბოლისტმა ალექს როდრიგესმა ნიშნობის თაობაზე განცხადება გააკეთეს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, წყვილი უკვე ორ წელზე მეტია, ერთმანეთს ხვდება. ნიშნობის თაობაზე მსახიობმა და სპორტსმენმა ისაუბრეს განცხადებაში, რომელიც ინსტაგრამში გამოაქვეყნეს ფოტოსურათთან ერთად, რომელზეც მსხვილი ბრილიანტის ბეჭედია აღბეჭდილი.

– მან მითხრა „დიახ“, – დაწერა ალექს როდრიგესმა ფოტოსურათისთვის თანდართულ კომენტარში.

ალსანიშნავია, რომ წყვილი ამჟამად შვებულებით ბეიკერს ბეიში იმყოფება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. ხურდა ფული გერმანიაში; 5. მუსიკალური ნაწარმოების შესრულების სისწრაფე; 7. კარგი საჭმელების მცოდნე და მოყვარული; 9. შემოკლებულად დაწერილი სიტყვა ძველ ხელნაწერებში; 10. ფრანგული ვაზის ჯიში; 13. მსხვერპლად შეწირული; 14. იუპიტერის თანამგზავრი; 15. მდინარე საფრანგეთში; 19. მძარცველი, ყაჩაღი; 20. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა; 21. ინგლისელი ფიზიკოსი და ქიმიკოსი (1731-1810); 22. ქართული რადიო.

**შვეულად:** 1. რაიმე საქმიანობისათვის მოწყობილი ადგილი; 2. იაპონური ავტომარკა; 3. ტრიკოტაჟის უსაყელო, მჭიდრო ფუფაიკა; 4. მაგიდა საღმრთო წიგნებისთვის ეკლესიაში; 6. აზრის გამოთქმის მგზნებარე ტონი; 8. ბავშვის მოსანათლი ჭურჭელი; 11. ჭადრაკის პარტიის ბოლო სტადია; 12. დარტყმა ჩოგბურთში, რომლითაც სპორტსმენს ბურთი შეჰყავს თამაშში; 16. წვრილი, უკურკო ქიშმიში; 17. ჩოგბურთის მოედანი; 18. განათების საზომი ერთეული.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

